საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 25 მარტი. 2016 წ. №55 (7947), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვიდრე შავ ზღვას ცეცხლი მოეკიდებოდეს

7

გურამ გათიაშვილი:

ხელმძღვანელს თუ თავისი კუთხის, ქალაქის ღირსებისთვის პრინციპული ბრძოლა არ ძალუძს, ცუდია, ძალიან ცუდი!

5

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ბ-ნ აკაკი მაჭუტაძეს, ქ. ახალციხის მერს ბ-ნ გიორგი კოპაძეს

მანანა მენაბდე:

ფოტოები „მუსიკალური ზარდახშიდან“

12

კოკა გოგსაძე:

მშობლიური შთაბეჭდილებებით აღსავსე

„ისლამური სახელმწიფო“ თვით-განადგურებამდე მიდის, მაგრამ ...დასავლეთისაც ანადგურებს“!

8

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საპოლიციო კონტროლი მიმდინარეობს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საპოლიციო შემოწმება მიმდინარეობს. ე.წ რეიდების დროს პოლიციელები ავტომანქანებსა და ფეხით მოსიარულეებს აჩერებენ და ჩხრეკენ. შსს-ს ინფორმაციით, შემოწმება დანაშაულის პრევენციას ისახავს მიზნად.

საპოლიციო კონტროლი საქართველოში გარკვეული პერიოდულობით ტარდება.

THE GUARDIAN:

ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ EURO 2016 შესაძლოა, ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართოს!

9

გარდაიცვალა ლეგენდარული იოჰან კრუიფი

ტოტალური ფეხბურთის მეფე იოჰან კრუიფი უკვდავების ბინადარი გახდა.

ამსტერდამის „აიაქსსა“ და ჰოლანდიის ნაკრებში დიდი მაესტროს რინუს მიხელსის ტაქტიკური იდეების ხორცშესხმის შემდეგ ამ გენიალურმა მოაზროვნემ მთელი ეპოქა შექმნა ჯერ როგორც „ბარსელონას“ მოთამაშემ, ხოლო კარიერის დასრულებიდან მალევე როგორც მწვრთნელმა.

აღნიშნულ კლუბებში ჩემპიონთა ლიგის არაერთხელ მოგებას (სამშობლოში — მოთამაშის, კატალონიაში — მწვრთნელის რანგში) მართლაც რომ დაამშვენებდა სანაკრებო ტიტულები, მაგრამ „მფრინავი ჰოლანდიელის“ დიდებას ეს „ლაფსუსი“ ვერაფერს აკლებს — მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

რას არ მოისმენ, ხიდაშელი ივანიშვილს აშანტაჟებდაო!

საგარეჯოს მაჟორიტარობისთვის მებრძოლი ირმა ინაშვილი პროკურატურის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ გამოძიებაზე გავლენა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა იძონია.

„პროკურატურა იყო თინა ხიდაშელის გავლენის ქვეშ. თინა ხიდაშელმა იშანტაჟა ივანიშვილთან და ხელისუფლებასთანაც. მათ უყენებდა პირდაპირ არჩევანს — მე, ან ეს გამოძიება, ან თქვენი დაზიანებული იმიჯი დასავლეთში!.. ვარშავის სამიტის წინ, ის პედალირებს ყოველთვის ამით, რომ თავდაცვის მინისტრზე როგორ შეიძლება საქმე ყოფილიყო აღძრული და როგორ შეიძლება კითხვის ნიშნები არსებულიყო მასთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ დაიხურა ეს საქმე. დაიხურა, მაგრამ კითხვები ღიაა და ამ კითხვებზე უპასუხებს ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება, რომელმაც განსხვავებით პროკურატურისგან, მოწმეებიც ნახა, ფაქტებიც ასახა ამ ჟურნალისტურ გამოძიებაში და, რა თქმა უნდა, ეს გამოძიება საზოგადოებას გააცნობს რა მოხდა რეალურად საგარეჯოში. სულ ერთი თვის მანძილზე გაგრძელდა ეს გამოძიება, რეკორდული ტემპებით წარიმართა. თუ ვინმე ჰგონია, რომ მე მაქვს პრეტენზია რიგით გამომძიებელთან, ან თუნდაც მთავარ პროკურორთან, ცდება. მე ლმობიერად ვარ განწყობილი ამ პროკურორების მიმართ. იმიტომ, რომ ვიცი რა დიდი წნეხის ქვეშ იყო მოქცეული პროკურატურა, ვიცი რა ხდებოდა „ქართული ოცნების“ კულუარებში. ვიცი, რა შანტაჟი მიდიოდა „რესპუბლიკური პარტიის“ მხრიდან. თინა ხიდაშელი პირდაპირ ულტიმატუმს უყენებდა ხელისუფლებს და ბიძინა ივანიშვილს. ის ამბობდა, რომ ან დაიხურება ეს საქმე, ან მე შევუერთდები „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ლიდერებს, რომლებიც აზიანებენ თქვენს იმიჯს დასავლეთში, ანუ გავალთ კოალიციიდან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად დასავლეთში მოვახდენთ თქვენი იმიჯის საბოლოოდ დამარხვას. ეს თემა უკვე სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საკითხებთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლება რა არჩევანს გააკეთებდა? ივანიშვილისთვის ძალიან წონიანი კი არ არის „რესპუბლიკური პარტია“, ივანიშვილი ძალიან ფრთხილი კაცია საერთოდ და დამოკიდებულია „რესპუბლიკურ პარტიაზე“, რომლებიც არწმუნებენ, რომ მათ ალტერნატივა არ აქვთ დასავლეთში და მხოლოდ ეს ჯგუფია, რომელიც დასავლეთს ელაპარაკება და ამ შემთხვევაში ივანიშვილმა არჩევანი გააკეთა არა სიმართლის და ირმა ინაშვილის მხარეს, არამედ „რესპუბლიკური პარტიის“ სასარგებლოდ და საქმეც დაიხურა“, — აცხადებს ინაშვილი.

სწორედ ასეთ გაუანალიზებელ ბუუტურზე ამბობს „ფრთხილი“ ბიძინა ივანიშვილი, ოპოზიციას საკუთარი რიტორიკა ღუპავსო! ირმა ინაშვილი დასაღუპად ნამდვილად არ გვემეტება! (რედ).

ჯიმი ურგებაძე

P. S. შეგახსენებთ, საგარეჯოს არჩევნების გამოძიების საქმე მთავარმა პროკურატურამ გუშინ დახურა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პრემიერმა დონორებს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა გააცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, თბილისში დონორების ყოველწლიური საკოორდინაციო ფორუმი გაიხსნა. გიორგი კვირიკაშვილმა ფორუმის მონაწილეებს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები და მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა გააცნო. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ამჟამად საქართველოში დონორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული 400-ზე მეტი პროექტი ხორციელდება, რომელთა ჯამური ღირებულება 6 მილიარდ ლარს აღემატება.

„საქართველოსთვის ფასდაუდებელია თქვენი მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენს ქვეყანას, დაუბრუნდეს დიდ ევროპულ ოჯახს, სადაც ადამიანის თავისუფლება, მისი უფლებები და კანონის უზენაესობა მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს; გახდეს მოწინავე ქვეყანა სიღარიბის გარეშე, სადაც თითოეულ მოქალაქეს ღირსეული ცხოვრების საშუალება მიეცემა ,“ — განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობის ძირითადი პრიორიტეტებია: ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის რეფორმები და სამუშაო ადგილების შექმნა; განათლების რეფორმა, რომელიც ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული; რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და მმართველობის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებების ეფექტიანობას და მეტ გამჭვირვალობას.

ქვეყნის განვითარების საშუალო და გრძელვადიან პრიორიტეტებზე ისაუბრეს ასევე საქართველოს მთავრობის წევრებმა. სიტყვით გამოსვლების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

ირაკლი ღარიბაშვილთან არავითარი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის საარჩევნო სიაში მოხვედრასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ექს-პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციების გამართვას გეგმავდა. ამის შესახებ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა. ძჩვენ აუცილებლად გვექნება კონსულტაციები და ამ კონსულტაციების შედეგად გაირკვევა ის, თუ როგორი იქნება ყოფილი პრემიერის და თავმჯდომარის ჩართულობა ჩვენს სამომავლო საქმიანობაში“, — განაცხადა კობახიძემ.

ნოდარ ჯავახიშვილი: ანეკდოტიც კი არ მსმენია!..

დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ მინისტრთა კაბინეტის წევრებს.

ამის შესახებ მის პოლიტიკურ პარტიასთან უნდა გაარკვიოთ, — აცხადებს თინა ხიდაშელი. **მე არ ვადგენ სიებს,** — განმარტავს ნოდარ ხადური.

ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ ყოფილ პრემიერთან, ისევე როგორც მთავრობის დანარჩენ წევრებს, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და მისი თქმით, ღარიბაშვილის ყველა ნაბიჯი პატივისცემას იმსახურებს, თუმცა მისი გეგმების შესახებ არც დიმიტრი ქუმსიშვილი ფლობს ინფორმაციას. კულტურის მინისტრის თქმით, კი ის არ არის პარტიის წევრი და შესაბამისად, შიდა პარტიული მოძრაობა მისთვის უცნობია.ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ არ აქვს ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს. იქნება თუ არა საპარლამენტო არჩევნებისთვის თავად საარჩევნო სიაში, ნოდარ ჯავახიშვილი აცხადებს, რომ „ამის შესახებ ანეკდოტიც კი არ სმენია“.

ლადო პაპავა: მე გადადგომას არ ვაპირებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და თსუ თვითმმართველობის წევრებს შორის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საუბარი რექტორატის და ადმინისტრაციული ერთეულების მიერ გაწეულ ხარჯებს, ფაკულტეტებზე პროფესურის საკონტრაქტო პირობებს და სხვა საკითხებს შეეხო. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის თქმით, სტუდენტებმა დასვეს რექტორატის მხრიდან დიდი ფინანსური დანახარჯების და მისი მიზნობრიობის საკითხი. **„შეხვედრაზე ახალი გვარები დასახელდა, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ და ამასაც გადავამოწმებთ,“** — განაცხადა საბაურმა. მისი სიტყვებით, **„რექტორმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში არსებობს „ოდეური“ და ნაბიჯი არ გადადგა ამ კანონდარღვევის აღსაკვეთად, ის არაფერზე იღებს პასუხისმგებლობას“.**

თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, საუბარი იყო ყველა იმ თემაზე, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, კონკრეტულად, რექტორის საქმიანობასთან. **„მათი მოთხოვნა არის უცვლელი-რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. ჩვენი პასუხი არის მარტივი — მე გადადგომას არ ვაპირებ, თუმცა აკადემიურ საბჭოს დაწყებული აქვს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა და ამ პროცედურაში რექტორი არ მონაწილეობს“.**

ამასთან, როგორც რექტორმა აღნიშნა, უნივერსიტეტში გაწეული ნებისმიერი ხარჯი არის დასაბუთებული, ამიტომ საუბარი არამიზნობრიობაზე არ არის გამართლებული. შარშან დაასრულა ჩვენი შემოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და მივესალმები, თუ უახლოეს ხანებში კვლავ შეისწავლის. ასევე მინდა განვაცხადო, რომ უნივერსიტეტმა სწორედ ადმინისტრაციული რესურსების ეკონომიის ხარჯზე მოახერხა პროგრამული სამეცნიერო კვლევითი თემების დაფინანსება, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა, დოქტორანტების სწავლის საფასურის დაფარვა. ასე რომ, ძალიან ბევრი საკითხი ადმინისტრაციის ხარჯების შემცირების გზით მოხდა“...

ნარმანიამ გამწვანების სამსახურს წითელი აუნთო

დავით ნარმანია გამწვანების სამსახურის სრული შემადგენლობით დათხოვნას აპირებს, — ამის შესახებ წერს გაზეთი „ქრონიკა“. გამოცემის ინფორმაციით, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, თბილისში გამწვანების კუთხით მიმდინარე სამუშაოების უახლოეს დღეებში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, გამწვანების საქალაქო სამსახურის სრული შემადგენლობით დათხოვნას დაპირდა.

„ნარმანიას მორიგი რისხვა გამწვანების სამსახურს დაატყდა თავს. კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, გასულ კვირას მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე დავით ნარმანიამ „გამწვანების“ სამსახურის ხელმძღვანელობას „წითელი ბარათი“ აჩვენა და უკანსაკნელი გაფრთხილება მისცა.

ცნობილი ხდება, რომ მთავრობის სხდომაზე, რომელიც დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, ნარმანიამ მწვავედ გააკრიტიკა დედაქალაქის საგაზაფხულო გამწვანების გეგმა.

„ნარმანიამ სულ თითები უქნია გამწავანების სამსახურის ხელმძღვანელს და უკმაყოფილება გამოთქვა კურატორ ვიცე-მერიც მიმართაც“, — აცხადებს მერიასთან დაახლოებული წყარო.

ნარმანიამ გამწვანების სამსახურისგან მეტი აქტიურობა, ხეების დარგვა, აღმაშენებლის ხეივნის მოწესრიგება და თბილისის ყველა უბნის სათანადოდ მიხედვა მოითხოვა. მერმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა იმ „უნიათობის გამო“ რასაც სამსახური იჩენს გამხმარი ხეების ჩანაცვლებისა და მწვანე მდელოების მოწესრიგების კუთხით.

„ასეთი განრისხებული და უკმაყოფილო დედაქალაქის მერი თითქმის არავის უნახავს. მან გამწვანების სამსახურის უფროსს კონკრეტულად განუცხადა, რომ თუ უახლოეს დღეებში ვითარება არ გამოსწორდება მთელი სამსახური დათხოვნილი იქნება“, — აცხადებს ინფორმაციის წყარო.

„თუ კიდევ გაგრძელდება საარჩევნო პროცესის ჩაშლის მცდელობა, ნებისმიერი თანამშრომელი აგებს პასუხს“

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის საგენტო განცხადებას ავრცელებს, სადაც სააგენტო მოუწოდებს ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, ნუ ჩაერთვებიან ხელოვნურად მართულ პროცესებში.

„თბილისის ბაგა-ბაღების რამდენიმე გათავისუფლებული დირექტორი, გარკვეულ ჯგუფებთან ერთად ცდილობს, პროცესები პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანოს და ბაღების ნორმალურ ფუნქციონირებას ხელი შეუშალოს. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო მოუწოდებს ბაგა-ბაღების ყველა თანამშრომელს, ნუ ჩაერთვებიან ხელოვნურად მართულ პროცესებში, ნუ ჩაშლიან საარჩევნო პროცესს და ნუ შეუქმნიან მშობლებს დისკომფორტს თავიანთი უპასუხისმგებლო საქციელით.გვინდა მოგმართოთ, რომ თუ კიდევ გაგრძელდება საარჩევნო პროცესის ჩაშლის მცდელობა, ნებისმიერი თანამშრომელი აგებს პასუხს საბავშვო ბაღის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად საარჩევნო პროცესის ჩაშლისთვის. მოგიწოდებთ, პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად მოეკიდოთ თქვენს სამუშაოს, დაკისრებულ მოვალეობას და ნუ ჩაერთვებით პროცესების პოლიტიზების მცდელობაში“, — ნათქვამია განცხადებაში.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს.

...ცნობილია, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომის იმპერიაში ავტოკეფალურ ეკლესიებად ითვლებოდნენ პროვინციათა საეპისკოპოსოები, რომელთა მეთაურები უშუალოდ ემორჩილებოდნენ იმპერატორსა და მსოფლიო საეკლესიო კრებას.

V საუკუნეში მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებად ითვლებოლდნენ: რომის პაპი, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის პატრიარქები.

მოგვიანებით, არაბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიებიდან ყველაზე ადრე დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიაა, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის, და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გადმოცემით, ქრისტიანობა უქადაგია ქრისტეს რამდენიმე მოციქულს: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათასა და ბართლომეს, ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება და საეკლესიო იერარქიის დაფუძნება კი უკავშირდება მოციქულთასწორ წმინდა ნინოს სამქადაგებლო მოღვაწეობას...

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, ღვთის წყალობით, მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ ამ ფაქტის წერილობით დასტური არ არსებობდა.

მხოლოდ 1990 წლის 4 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II კონსტანტინოპოლის საპატრიარქმა ღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

გიული ლიპარტია

ოჯახური და პირადი საიდუმლოს ხელყოფა 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება

პარლამენტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშის მოსმენის პარალელურად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ წარადგინა მის მიერ მომზადებული ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში და ამ ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, ოჯახური და პირადი საიდუმლოს ხელყოფა გადავა მძიმე დანაშაულის კატეგორიაში, შესაბამისად გაიზრდება სასჯელიც.

პროექტის თანახმად, „სისხლის სამართლის კოდექსის“ 157-ე მუხლიდან პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის გამიჯვნა ხდება.

კერძოდ, კოდექსს ახალი მუხლი ემატება, რომელიც ითვალისწინებს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე მკაცრი სასჯელების განსაზღვრას. პროექტით პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე.

ასევე, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, იქნება დასჯადი თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე.

თუკი აღნიშნული ქმედება ჩადენილი იქნება ანგარებით, არაერთგზის გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას — თავისუფლების აღკვეთით 6-დან 9 წლამდე.

თუკი ზემოთ აღნიშნული ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ამ საიდუმლოს დაცვა ევალებოდა ან რომელმაც აღნიშნული ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა — დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 10 წლამდე ვადით.

კახი კალაძე: „პიცით, ვისი ხელწერაა ეს ყველაფერი“

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნებაზე კომენტარს აკეთებს ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. კალაძის განცხადებით, ამ კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით რაც ხდება, ეს არის პირდაპირი დარტყმა საქართველოს მთავრობაზე და

თუ ვინმე დაზარალდა და ზიანდება ამით, პოლიტიკურად რომ შევხედოთ, ეს არის საქართველოს მთავრობა. დაველოდოთ გამოძიებას. ეს არის ძალიან რთული პროცესი. ზოგადად, როდესაც ხდება ასეთი ვიდეოების ატვირთვა, მათი გამოძიება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

როგორც ვიცი, ამაში ჩართულია როგორც ჩვენი, ისე სხვადასხვა ქვეყნის საგამოძიებო უწყებები იმისთვის, რომ ძალიან სწრაფად იქნას აღმოჩენილი, თუ ვისი მხრიდან იქნა გავრცელებული ეს საშინელი კადრები. ეს არის მორალური განადგურება ადამიანებისა, რაც ძალიან მძიმეა.

ისიც ვიცით, ვინც ამას აკეთებდა და წერდა ამ კადრებს გარკვეული წლების განმავლობაში და ჩვენ ვიცით, ზოგადად, ამას ვინ აკეთებდა და ვისი ხელწერაა ეს ყველაფერი.

ჩხარტიშვილი ორი მინისტრის გვარს ასახელებს — „ფარული კადრები მონტაჟდება თურქეთში“

გუშინ გიორგი ჩხარტიშვილის დაკითხვა მთავარ პროკურატურაში განახლდა. ოთხშაბათს კი გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით დეტალების დასაზუსტებლად მისი დაკითხვა საგამოძიებო უწყებაში რამდენიმე საათს გაგრძელდა. შენობიდან გამოსული ჩხარტიშვილის თქმით, მან გამომძიებელს ჩანაწერების დამზადებასთან დაკავშირებით კონკრეტული გვარები დაუსახელა, მათ შორის ორი ყოფილი მინისტრი. მისივე მტკიცებით, კადრების დამონტაჟება თურქეთში ხდებოდა.

„დასახელდა უკვე გამოძიების ეტაპზე ორი სახელი და გვარი, რომელსაც აქვს რაღაც გარკვეული მნიშვნელობა. მათ შორის, ყოფილი მინისტრები. მათ შორის, ერთი გვარი, ვის სახლშიც ხდებოდა კადრების გადაღება. ფარული კადრები მონტაჟდება საზღვარგარეთ კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში. ვიდეო და აუდიოჩანაწერები ხდება არა წარსულ ხელისუფლების დროს, არამედ ამ ხელისუფლების დროსაც“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.

მეჭიაური „სამეულს“ ბრალს სდებს!

საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური საქართველოს პრეზიდენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს „შეხმატკბილებულად ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში“ ადანაშაულებს:

„მე სულ ვიძახდი, რომ ქადაგიძე იყო საფრთხე და მისი ყოფნა ხელს უშლიდა ლარის გამყარებას. წავიდა და დაემთხვა ხომ? რატომ არ ამბობთ, რომ ჭკვიანი კაცი ვარ? მე არ მაქვს წვდომა იმაზე, რომ ეს ყველაფერი მტკიცებულების ფორმაში გადავიყვანო, მაგრამ თავის დროზე ვითხოვდი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რადგან ეს შეეხო საქართველოს ყველა მოქალაქეს. ახლაც ვიმეორებ, რომ ამაზე საგამოძიებო კომისია უნდა შექმნილიყო. მე ვფიქრობ, რომ ახლაც შესაძლებელია მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, თუმცა საგამოძიებო კომისიის შექმნის ალბათობა არ არის. იმედი მქონდა, რომ გავიტანდი ამ საკითხს, აუცილებლად დავაყენებდი ისევ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს.

ზედამხედველობის სამსახურის შექმნაზე მივიღეთ კანონი, პრეზიდენტმა დაადო ვეტო, გადავლახეთ, მერე საკონსტიტუციომ შეგვიჩერა... ეს ყველაფერი მიზანმიმართულად მიდიოდა. ქადაგიძის აზრს ემთხვეოდა პრეზიდენტის ვეტო, დაემთხვა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს ყველაფერი ერთად ლარის კურსს აფუჭებდა. რატომ არ დასვით მაშინ კითხვა, რომ საეჭვოდ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს იღებდნენ სინქრონში, შეხმატკბილებულად? — მიპასუხეთ. ჩემი აზრით ეს სამნი, პირდაპირ თუ ირიბად, თანამონაწილეები იყვნენ ლარის გაუფასურების...

გამოდის ახლა ქადაგიძე და იძახის, „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოო“! გეგონება აკაკი წერეთელი მყავდეს, მგონი მარტო აკაკი წერეთელი აქვს წაკითხული“, — დასძინა თამაზ მეჭიაურმა.

საგამოძიებო ჯგუფი ცენტრალურ აფრიკაში გაემგზავრება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელს გაეროში მირიან ფოფხაძეს შეხვდა. მირიან ფოფხაძე თავდაცვის მინისტრმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის შემოდგომის მისიის საქმესთან დაკავშირებით თბილისში სპეციალურად გამოიძახა. თავდაცვის სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა თინათინ ხიდაშელს აფრიკაში საგამოძიებო ჯგუფის გამგზავრებასთან დაკავშირებით კონკრეტული დეტალები და პროცედურები გააცნო.

ამ დროისთვის უკვე შერჩეულნი არიან დამოუკიდებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული და ომის სამართლის ექსპერტები, რომლებიც ცენტრალურ აფრიკაში საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად საგამოძიებო ჯგუფის წევრების სტატუსით გაემგზავრებიან. საგამოძიებო ჯგუფის ვიზიტის თარიღი გაეროს წარმომადგენლების მიერ დაზუსტდება.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრას ასევე დაესწრნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე და საერთაშორისო საკითხებში მინისტრის მრჩეველი შოთა ღვინერია. ცენტრალურ აფრიკაში 2014 წლის შემოდგომის მისიასთან დაკავშირებული საქმის გამოძიებას ანა დოლიძე კურირებს.

თქვენ ხართ სახე და ღირსება ქართული სახელმწიფოსი!

ვაზიანში ქართველი სამხედროების ავღანეთში გაცილების ცერემონიალი გაიმართა. ჯარისკაცებს სიტყვით თავდაცვის მინისტრმა მიმართა:

„მართალია, დღეს გაცილების დღეა, კიდევ უფრო საზეიმო და მნიშვნელოვანი დღე იქნება, როდესაც ყველანი მშვიდობით დაგვიბრუნდებით უკან. თქვენ ხართ სახე, სახელი და ღირსება ქართული სახელმწიფოსი და ეს არ არის უბრალო სიტყვები, ეს არის რეალობა, რომლითაც საქართველო ცხოვრობს ბოლო 15 წელია, იმ პირველი დღიდან, როდესაც პირველი ქართველი სამხედრო დადგა უცხო ქვეყნის მიწაზე მშვიდობის დასაცავად და მშვიდობის შენარჩუნებისთვის. ბრიუსელში მომხდარმა ტერაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად სწორი არჩევანია, რომელიც ქართულ სახელმწიფოს აქვს გაკეთებული და რამდენად მნიშვნელოვანია ის ბრძოლა, რომელშიც ჩვენ ყველანი ერთად ვმონაწილეობთ. ჩვენი ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ ვიბრძოლოთ ბოლომდე, სანამ არსებობს საფრთხე, რომ ჩვენს შვილებს, თქვენს შვილებს ემუქრება ტერორიზმის საფრთხე. ჩვენ ყველა ვხვდებით, რომ ბოროტებას არა აქვს საზღვარი, ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ გაერთიანებული ძალებით, ქართული სახელმწიფო წინ აღუდგეს ამ ბოროტებას“.

42-ე ბატალიონი ქაბულში იმსახურებს, 52-ე ბატალიონი კი ბაგრამის საავიაციო ბაზას დაიცავს. მისია შვიდთვიანია.

საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების ახალი ეტაპი დაიწყო

გუშინ საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეები გიორგი გაბიტაშვილი და გიორგი გოგაძე სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში წარმატებულ კანდიდატებს შეხვდნენ, კონკურსში გამარჯვება მიულოცეს და სამომავლო პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

უწყების ინფორმაციით, სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი 2015 წლის ბოლოს გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობა 1364-მა მსურველმა მიიღო. სამეტაპიანი კონკურსის გავლის შედეგად 62 საუკეთესო კანდიდატი შეირჩა. სტაჟიორებმა გაიარეს ტესტირებები სპეციალობასა და ზოგად უნარებში, ბოლო ეტაპი კი საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისიასთან გასაუბრება იყო.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს კვალიფიციური კადრების მოზიდვა და განვითარება წარმოადგენს. კანდიდატთა შერჩევა მათი პროფესიული ცოდნისა და უნარების საფუძველზე მოხდა. კანდიდატები სტაჟირების პირველ ეტაპზე სპეციალურ სასწავლო მომზადებას გაივლიან. მათი ინტენსიური გადამზადების კურსი მიმდინარე წლის 28 მარტიდან დაიწყება და თვე-ნახევრის განმავლობაში გაგრძელდება. სწავლების ფარგლებში მონაწილეები მიიღებენ ცოდნას როგორც სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, პროფესიული ეთიკის, საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებების და პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით, ასევე სამართლებრივი წერის, კომუნიკაციის, სასამართლო გამოსვლებისა და სხვა მნიშვნელოვან პროფესიულ თემებთან დაკავშირებით. სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია მსმენელებისთვის იმ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომელიც მათ სამომავლოდ პროფესიული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში დაეხმარება. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, წარმატებული მონაწილეები საქართველოს პროკურატურის ტერიტორიულ ორგანოებში განაწილდებიან და ერთწლიან ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან.

◎ პრობლემა

როდის მიხედავენ პრობლემას სერიოზულად?

სასამართლოებში ბიზნესდავების განხილვების ჭიანურდება, რის გამოც სადისტრიბუციო კომპანიები აქციების გამართვას არ გამორიცხავენ

სასამართლოებში ბიზნესდავების განხილვის გაჭიანურების პრობლემა ისევ აქტუალურია. ბიზნესი წლებია ამ საკითხზე საუბრობს, თუმცა, წინგადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ ჩანს.

ბიზნესის წარმომადგენელთა თქმით, გაჭიანურებული დავები მათაც და ქვეყნის ეკონომიკასაც რთულ ვითარებაში აყენებს. საქმე ისაა, რომ ბიზნესდავები წლების განმავლობაში განიხილება, რაც კერძო სექტორს ფინანსურად აზარალებს, შესაბამისად, სერიოზულ საფრთხეებს ქმნის ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

„კომერსანტმა“ აღნიშნულ პრობლემას არაერთი სტატია მიუძღვნა. ეს საკითხი ბიზნესმენებმა პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრაზეც დააყენა. მთავრობის მეთაურმა პირობა დადო, რომ ამ საკითხს გულისყურით მოეკიდება და სპეციალურ ჯგუფს შექმნის. თუმცა ჯერჯერობით პრემიერის აპარატს ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადაუდგამს, მაგრამ, სადისტრიბუციო კომპანია „გრანდის“ ხელმძღვანელს, რომელმაც პრობლემა პრემიერთან დასვა, იმედი აქვს, რომ გიორგი კვირიკაშვილი ამ საკითხზე რეაგირებას მოახდენს.

ივა ჭყონია მიიჩნევს, რომ სასამართლო დავების გაჭიანურებამ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი შექმნა. მისი თქმით, უკვე სამი წელია, კომპანია „მარშესა“ და „გრანდს“ შორის სასამართლოში დავა მიმდინარეობს. „გრანდი“ იმ დავალიანების ანაზღაურებას ითხოვს, რაც „მარშეს“ მის მიმართ დაუგროვდა. საუბარია 100 ათას ლარზე.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლებისას დამრღვევებს სჯიდნენ, ახლა კი დაუსჯელობის სინდრომია. ჭყონიას თქმით, როგორც ჩანს, ამ მხრივ უფრო მკაცრი მიდგომა ჯობია. „გრანდის“ ხელმძღვანელი აცხადებს, რომ თუ სიტუაცია სასამართლოებში არ გამოსწორდება, მაისიდან თავის პარტნიორებთან ერთად სასამართლოების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს გამართავს.

მისი თქმით, სასამართლოში გაჭიანურებული საქმეები ქვეყნის იმიჯზეც ცუდ ზეგავლენას ახდენს. მას ხშირად ძალიან უჭირს თავისი უცხოელი პარტნიორებისთვის იმის ახსნა, თუ რის გამო ჭიანურდება პროცესები.

„დაუსჯელობის სინდრომი თუ გაგრძელდება, იმდენად გათავხედებულები არიან რითეილები, ხვალ შეიძლება სხვამაც გააკეთოს ასეთი რამ და ეს ამოაყირავებს მთელს ეკონომიკას. სამწუხაროდ, არავინ ეკიდება ამ პრობლემას სერიოზულად, ვინაიდან აქამდე არავინ არ დასჯილა. მაშინ, როცა „მარშეს“ და „პოპულს“ შეექმნა პრობლემები, რითეილების წილი ბაზარზე იყო 15-20%, ახლა პირიქით არის — 80% მსხვილი რითეილები, დანარჩენი კი არის მცირე ქსელები. შესაბამისად, რითეილების დავალიანებაც ძალიან დიდია. თუ რამე რეგულაცია არ შეიქმნა, ეს იქნება ძალიან მტკივნეული ჩვენი ეკონომიკისთვის“, — აცხადებს ივა ჭყონია.

მისივე თქმით, თავის დროზე, როდესაც „მარშე“, „პოპული“ და „გუდვილი“ რეაბილიტაციაზე გავიდნენ, ამას უამრავი კომპანიის დახურვა მოჰყვა.

„ვიღაცას თავისი საცხობი ჰქონდა, ვიღაც რაღაც სხვა პროდუქტს აწარმოებდა, ასეთი პატარა კომპანიები უბრალოდ გაკოტრდნენ. თუ „რუსთავი-2-ის“ და „მაესტროს“ საქმეები ერთ დღეში განიხილება და პრობლემა გადაიჭრება, ესე იგი პოლიტიზებულია ეს საქმეები? რეალურად, ფინანსურ დავებზე მტკივნეული არ არსებობს“, — აცხადებს ივა ჭყონია.

სამართალწარმოებაში არსებული ხარვეზების გამო ბოლო წლებში ათობით კომპანიის გაჩერებაზე საუბრობს იურისტი ნინო ლიპარტიაც. მისი თქმით, სასამართლოში დავის წარმოებას, ერთი მხრივ, ფულადი რესურსი სჭირდება, დავა შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს და სრულიად უშედეგოდ დასრულდეს კომპანიისთვის.

ამ პრობლემაზე „კომერსანტთან“ სხვა იურისტებსაც უსაუბრიათ. რამდენიმე თვის წინათ იურისტი ქეთი ქვარცხავა აცხადებდა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლო დავები 8-10 წელი გაგრძელებულა, ეს კი უდიდეს ფინანსებთანაა დაკავშირებული.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ ინფორმაცია

ახალი გზა მარტვილში

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მარტვილის მუნიციპალიტეტში თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი 3,5 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია დაასრულა.**

რეაბილიტირებული გზა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ მოინახულა.

ამ გზას რეაბილიტაცია 30 წელზე მეტია არ ჩატარებია, რის გამოც, საფარი ამორტიზებული იყო და მოსახლეობას მასზე გადაადგილება უჭირდა. მშენებლობაზე 50 ადამიანი იყო დასაქმებული და მათი ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეა. აღნიშნული პროექტის განხორციელება მარტვილში ორი მჭიდროდ დასახლებული უბნის დაკავშირებას გაამარტივებს და გადაადგილებას უსაფრთხოსა და კომფორტულს გახდის.

ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის აგვისტოში დაიწყო. პროექტის ღირებულება 1,224,710.90 ლარია და ის მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდა.

ჯი-ეიბ-ეინ

◎ რა ხდება?

რეალობა თუ წინასაარჩევნო ბლეფი?

რატომ გაჩნდა ქუთაისის მინიქალაქის 700-მილიონიანი პროექტისადმი ეჭვები?

ძუთაისში, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მინიქალაქის აშენება დაანონსდა. გავრცელებული ინფორმაციით, პროექტის განხორციელებას ქართულ კომპანია „აია ინტერტაიმენტი“ გეგმავს, რომელიც ჯამში 270 მილიონი ევროს (დღევანდელი კურსით ეს დაახლოებით 700 მილიონი ლარია) ინვესტიციის განხორციელებას აპირებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა კვლევები ჩაატარა კომპანიამ აღნიშნული პროექტის შექმნამდე ქუთაისის ბაზარზე, რა წყაროდან აპირებს 270 მილიონი ევროს მოზიდვას და ვინ არიან მისი პარტნიორები? თუმცა აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხები, ისევე როგორც თავად კომპანიაზე დეტალური ინფორმაცია, ვერ მოვიძიეთ.

კომპანიის წარმომადგენელი ვახტანგ გაგნიძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ პროექტის მიხედვით დაგეგმილია დასასვენებელი კომპლექსის, სასტუმროების, სათამაშო ბიზნესისთვის სივრცის, კორტების და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწყობა. კომპანიის ინვესტიცია ქუთაისის გარდა მოიცავს წყალტუბოსა და სამტრედიის ნაწილსაც, ჯამში 75 ჰექტარ მიწას.

ცნობილია, რომ პროექტში ინვესტირებას შვეიცარული, ჰოლანდიური და ავსტრიული კომპანიები განახორციელებენ, თუმცა, გაგნიძე მათ იდენტიფიცირებას არ ახდენს. „კომერსანტის“ კითხვაზე ვინ არიან ეს კომპანიები, გაგნიძე დროის სიმცირის გამო საუბრისგან თავი შეიკავა, შემდეგ კი „კომერსანტის“ ზარებს აღარ უპასუხა.

ქუთაისის მერიის პრესსამსახურში კი აცხადებენ, რომ ქუთაისის საკრებულომ მინიქალაქის მშენებლობისთვის სახელმწიფოს უკვე გადასცა 20 ჰექტარი მიწა უსასყიდლოდ, თუმცა, ამ შემთხვევაში მიწის გადაცემა კონკრეტული პირობით მოხდა. თუ კომპანია ტერიტორიაზე დაგეგმილ ინვესტიციას ვერ განახორციელებს, მიწა კვლავ ქალაქის საკუთრებაში გადავა. გავრცელებულ ინფორმაციაში არაა ნახსენები ასეთ შემთხვევაში ფულადი ჯარიმის დაკისრების ვალდებულება.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარის მისაღებად „კომერსანტი“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაუკავშირდა. იმის თქმა, რომ ქუთაისში მინიქალაქი მოეწყობა, ნაადრევიაო, უპასუხეს. მათი ინფორმაციით, კომპანიას სამინისტროში წარმოდგენილი აქვს პროექტი, თუმცა, მასზე ეკონომიკის სამინისტროს ნებართვა არ გაუცია. მათი ინფორმაციით, ჯერ პროექტია შესასწავლი, რის შემდეგაც შეიძლება გადაწყვეტილების მიღება.

პროექტის მიხედვით, დაგეგმილია ქუთაისში ეთნოგრაფიული მუზეუმის მსგავსი ზონის განვითარებაც. ასევე 20 000 ადამიანზე გათვლილი სტადიონის მშენებლობაც.

მინიქალაქის მოწყობას სკეპტიკურად უყურებენ თავად ქუთაისის მცხოვრებლები. საინიციატივო ჯგუფის „ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქუთაისს“ წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი თვეებია, იბრძვიან ქუთაისისთვის საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსის მინიჭებისა და იქ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნისთვის, რასაც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება ითვალისწინებდა. მათი თქმით, სწორედ ამ ფუნქციის მინიჭება იქნება ქუთაისის ეკონომიკური განვითარების სტიმული და არა გაურკვეველი კომპანიების პროექტი, რომლის რეალურობაშიც მათ ეჭვი ეპარებათ.

„მივესალმებით მსგავსი პროექტის განხორციელებას, თუმცა ეს წინასაარჩევნო ბლეფს უფრო ჰგავს, ყოველ შემთხვევაში დეტალების არარსებობა არაერთ შეკითხვას გვიჩენს. ვფიქრობთ, ქუთაისში მსგავსი პროექტის განხორციელებისთვის საფუძველი ჯერჯერობით არ არის მომზადებული და მინიმუმ 20 წელი ასეთი მასშტაბის პროექტისთვის ქალაქი მოუმზადებელია. ქალაქის მომავლისთვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ქალაქისთვის საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსის მინიჭება უკეთესი იქნებოდა“, — აცხადებენ საინიციატივო ჯგუფში.

სოფო ძსოვრელი





ხელმძღვანელს თუ თავისი კუთხის, ქალაქის ღირსებისთვის პრინციპული ბრძოლა არ ძალუძს, ცუდია, ძალიან ცუდი!

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ბ-ნ აკაკი მაჭუტაძეს, ქ. ახალციხის მერს ბ-ნ გიორგი კოპაძეს

შარშან, 2015 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში, ახალციხეში გესაუბრეთ იმის თაობაზე, რომ საძართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებას განზრახული აქვს აღნიშნოს ახალციხის სინაგოგის საიუბილეო თარიღი. ამ თარიღის ნორმალურ პირობებში აღნიშვნა კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა ნათელ ძართულ-ებრაულ ურთიერთობას, იმას, თუ რაოდენ ღირსეული ებრაელობა ცხოვრობდა ამ ძალაძში, რა როლი შეეძლონდა მას ახალციხის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ოქტომბრის დამდეგს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ბ-მა როინ მეტრეველმა და მე, როგორც მისმა მოადგილემ, წერილით მივმართეთ ჩვენი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს (05.10.2015, სარეგისტრაციო ნომერი 66117) და მოვახსენეთ ჩვენი განზრახვის თაობაზე. წერილი წესისამებრ გადმოგეგზავნათ თქვენ.

ამის შემდეგ ახალციხის მერთან ბ-ნ გ. კოპაძესთან მქონდა არაერთი სატელეფონო საუბარი, შევთანხმდით საიუბილეო თარიღის თაობაზე (2016 წლის 12 ივნისი), აშშ ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჯოინტის“ ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ახალციხეში დაბადებული და აღზრდილი მენახემ ელაზარი და მე განვაგრძობდით თანამშრომლობას ახალციხის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან ქ-ნ ცირა მესხიშვილთან წიგნის – „ებრაელები ახალციხეში“ დასამთავრებლად. ჩვენი მიზანი გახლდათ, საიუბილეოდ გამოცემულ ამ წიგნში სრულყოფილად წარმოჩენილიყო ახალციხის ებრაელობის ცხოვრება მესხეთის მადლიან კუთხეში. ამას გარდა, ბ-მა ელაზარმა და მე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ახალციხელ ებრაელობას ვაცნობეთ მოსალოდნელი ღონისძიების თაობაზე, რათა იუბილეს დღეებში ესტუმრონ მშობლიურ ქალაქს, ხოლო მათ, ვისაც ეს ხელეწიფება, ვთხოვეთ ც. მესხიშვილის წიგნისათვის დაეწერათ წერილები ახალციხეში მათი, მათი წინაპრების ცხოვრების თაობაზე.

თებერვალში ბ-ნი კოპაძე სტუმრობდა ისრაელს და რადიო „კოლ ისრაელის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუსას, შეკითხვაზე, თუ როდის ჩატარდება იუბილე, განაცხადა, რომ თარიღი ჯერაც უცნობია და ამას დაადგენენ ქ-ნი ჯაყელი და ჯ. ხუხაშვილი(!).

ქ-ნ ჯაყელის თაობაზე ბევრი არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ თბილისში სასტუმროს ფლობს, ხუხაშვილს კი კარგად ვიცნობ.

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ამ წამოწყებასთან რა კავშირი აქვთ ჯაყელს, ხუხაშვილს? გარდა იმისა, რომ ადასტურებს: ხუხაშვილს საკალათბურთო მატჩების რეპორტაჟებისას „პერეხვატის“ ილეთი შეუსწავლია. საიდან სადაო?

ჯ. ხუხაშვილმა ჯერ კიდევ 2008 წელს წამოიწყო ბინძური კამპანია ჩემს წინააღმდეგ: 1970 წელს ანტისიონისტურ კამპანიაში მონაწილეობდაო, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ბ-ნი ვარძელაშვილი რატომ გაგვიკრიტიკეო, რაშიც ქალაქის იმდროინდელ მესვეურებს საპატიო თბილისელობა გამოსტყუა. იმისათვის რომ ხელთ ეგდო საქართველოს ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარეობა, დიდი აურზაური ატეხა: სასამართლოებში მიჩიოდა ნარკოტიკებით ვაჭრობა დამაბრალაო. სინამდვილეში მე გავიმეორე ის, რასაც მასზე ამბობდა ისრაელის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, რომელიც დიპლომატიურ სამსახურში მოსვლამდე პოლიციის გენერალი გახლდათ. საქართველოსა და ისრაელის სასამართლოებში პროცესი დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა, მაგრამ პოლიციის გენერალს და ყოფილ ელჩს ერთხელაც არ განუცხადებია, ის, რაც ბათიაშვილმა დაწერა ტყუილია – არსად მითქვამსო, თუმცა, ხუხაშვილის მიერ წამოწყებულ კამპანიასა და სასამართლო პროცესებზე კარგად იყო ინფორმირებული.

ხუხაშვილი ჩემგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. არც ისრაელის, არც თბილისის სასამართლოს ჩემთვის არ დაუვალებია ბოდიშის მოხდა და არც მომიხდია. თავადაც კარგად უწყოდა, რომ ასეთი შედეგი იქნებოდა, მაგრამ მას ხმაური ეწადა: საზოგადოებას არწმუნებდა, ბათიაშვილი საქართველოს მოღალატეაო, ისრაელელებს კი ჩააგონებდა, ისრაელის მტერიაო. სასამართლოზე იქადდა ბათიაშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად გაზეთი შევქმენიო. ამ გაზეთში ბეჭდავდა ჩემს განმაქიქებელ კოლექტიურ წერილებს. როცა კ.მარჯანიშვილის თეატრში ჩემს პიესას ამზადებდნენ, თეატრს ემუქრებოდა, თუ ბათიაშვილის პიესის დადგმას არ შეწყვეტთ, პრემიერაზე აურზაურს მოგიწყობთ და ჩაგიშლითო, თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელთაგან მოითხოვდა ბათიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორობიდან მოხსენითო, რომელიმე სატელევიზიო არხზე თუ დამინახავს, წამყვანს საყვედურობს, რატომ მიიწვიეთო, როცა „კოლ ისრაელში“ ბ-ნი კოპაძის საუბარი მოვისმინე, გამახსენდა ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში მის მიერ ჩემთვის ნათქვამი თეატრში დასადგმელ პიესაზე ტენდერი-კონკურსი უნდა გამოვაცხადოთო და მივხვდი, საიდანაც მოდიოდა „მისი იდეა“.

ხუხაშვილს ახასიათებს იყოს იმის მეგობარი, ვინც დროს იმორჩილებს – დღეს ხუხაშვილი საქართველოს ხელისუფლებასთან გახლავთ დამეგობრებული. ეს აძლევს უფლებას, თავს წარმოაჩენდეს საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობის გამგებლად. მე არ გახლავართ დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტი, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა არ მაკავშირებს მის წევრებთან, თუმცა, მის ლიდერს, ქართული კულტურისადმი დიდი ამაგის გამო, განსაკუთრებულ პატივს ვცემ. ნუთუ, ასე აუცილებელია მთავრობის წევრებთან იყო დაახლოებულ-დამეგობრებული, რომ ესა თუ ის წამოწყება, მოღვაწეობა ხუხაშვილისმაგვარმა ადამიანებმა არ დაბლოკონ – ხელისუფლება ამ თეზას ამკვიდრებს?

ხუხაშვილს ახასიათებს იყოს იმის მეგობარი, ვინც დროს იმორჩილებს – დღეს ხუხაშვილი საქართველოს ხელისუფლებასთან გახლავთ დამეგობრებული. ეს აძლევს უფლებას, თავს წარმოაჩენდეს საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობის გამგებლად. მე არ გახლავართ დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტი, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა არ მაკავშირებს მის წევრებთან, თუმცა, მის ლიდერს, ქართული კულტურისადმი დიდი ამაგის გამო, განსაკუთრებულ პატივს ვცემ. ნუთუ, ასე აუცილებელია მთავრობის წევრებთან იყო დაახლოებულ-დამეგობრებული, რომ ესა თუ ის წამოწყება, მოღვაწეობა ხუხაშვილისმაგვარმა ადამიანებმა არ დაბლოკონ – ხელისუფლება ამ თეზას ამკვიდრებს? ზოგი რამ არ მომწონდა ნაციონალებისა, ამაზე პრესაშიც დამიწერია. ცხადია, არც ჩახუტებული ვყოფილვარ მათთან, მაგრამ ჩემს მოღვაწეობაში მათი ხელისშეშლა არასოდეს მიგრძნია: თუ რაიმე სასიკეთოს წამოვიწყებდი, მიუხედავად ჩემი კრიტიკული პათოსისა, მხარდაჭერაც მქონდა.

ხუხაშვილი კი ხელისუფლებასთან მეგობრობას სხვათა დაბლოკვისთვის იყენებს.

ბატონო გუბერნატორო, ბატონო ქალაქის მერო, ჩვენ გვამოძრავებდა კეთილი ზრახვა, თქვენ კი ჩვენი სულისკვეთება მოისროლეთ, ხუხაშვილის ამბიციას, რახან ხელისუფლება თავზე ხელს უსვამს, ანაცვალეთ ადამიანური ურთიერთობა, ნორმალური თანამშრომლობა. არა მგონია, ეს თქვენი არჩევანი იყოს. მართალია, ამ ბინძურ საქმეში მთავარ ბრალეულებად თქვენ არ მიმაჩნიხართ, მაგრამ ეს მაინც თქვენი შეცდომაა – ცენტრალური ხელისუფლებიდან ასე გიკარნახეს და არა-რა სურვილი არ გაქვთ, ის პიროვნება დაასახელოთ, მაგრამ თუ გინდათ, ხვალ სხვამ არ გაგაკეთებინოთ მისთვის საამო და ხელისუფლების ღირსებისათვის საზიანო, ანალოგიური უგვანო საქმე, უნდა დამეთანხმოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თავისი წინდაუხედაობით, ძმის იმ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება და რომლის მონაწილე თქვენც გაგხადეს.

მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტზე დანიშვნა, არჩევნებში გამარჯვება, ცხადია, ჩინებულია, მაგრამ რეგიონის ხელმძღვანელს, არჩეულ მერს, თუ თავისი კუთხის, ქალაქის ღირსებისთვის პრინციპული ბრძოლაც არ ძალუძს, ცუდია, ძალიან ცუდი!

გურამ ბათიაშვილი

6 მარტი, 2016.

P. S. ორ კვირაზე მეტია წინამდებარე წერილი ადრესატებს გადაეგზავნათ. არარა ნიშანი სინანულისა. ამიტომ მე ვრაცხ თავს ვალდებულად ბოდიში მოვუხადო გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს როინ მეტრეველს: იგი სწორედ ჩემი წინადადებით ჩაერთო ამ კეთილშობილურ წამოწყებაში. მოხსენიებულმა პირებმა კი ჩინებულად გამოხატეს დრო!

გ. ბ.

ძახილი

დაჩაჩანაკდა მართალი სიტყვა?!

თეთრი აპრილის კვირტთ აბგერება
ბოშა ქალივით ჭრელ კარტებს გაშლის,
მზე ქარქაშიდან აიწვერება
და აკრთობს მამულს, ძნასავით დაშლილს.

დასავლეთის ქარს,
ტალღასებრ ძლიერს
ექოსებრ მოაქვს ქვეყნის ძახილი,
ცხრა წყაროს წვეთად გულს მოეფრქვიე,
წყალმა წაიღოს წყლისა სამხილი.

გუთანმა მიწას შემოახია,
ერის სინდისი, როგორც მესია,
რადგან ბასრბირა სარეველები
ყაყაჩოსავით ჩვენც გვითესია.

რა ვერ გავიგეთ ტვინგაცლილივით,
როგორც ხოჭოთა და ბუზთ წესია,
ქართველი ქართველს,
მის გამზრდელ ენდემს
ოჩოკოჩივით რად შეესია,
ვაი, რომ მარტო ტაძრებს შემორჩათ
სიმღერასავით რაც გვიკვნესია.

იმ ტოტზე ვზივართ,
რომლის თარაზო,
ზედადგარივით მოგვიღუნია,
დედა სამშობლოვ, მზისებრ ლამაზო,
შენს სამრეკლოში რა უკუნია.

დაჩაჩანაკდა მართალი სიტყვა,
თითო-ოროლა ჩანს ლელთ-ღუნია,
გამონაკლისად ითვლება კაცი,
ვის ქუდი წაღმა დაუხურია.
ორი ბატონის მსახურის ხასად
გაყიდულია ქალი, დუნია,
აფსუს...
უძრაობ-სირცხვილისაგან
კაცს თავი ქვეყრში ჩაუღუნია.

ვერ ყელყელაობს პოეტის რითმა,
ენა ნალივით დაჩქლეტილია,
სად იაპრილოს ქართულმა სიტყვამ,
თუ ყველა დახლზე უცხო ხილია.

მამა-პაპათა ჩვეულებანი,
დამსგავსებია ფეხწვრილ კალიას,
ნაცვლად ლეს+(და მართლაც)+ბოსელებს
სამყარო ხელში აუყვანიათ.

ნუთუ იმ ღმერთმა,
ღმერთმა დაგვსაჯა,
ვინც განიკითხა სული იობის,
როგორ გაგრძელდა ერის შლა-განსჯა
და თეთრი ღამე ლიტანიობის.

სამშობლოვ ჩემო, მაინც დგახარ და
თუ სხვანაირად არ შეგიძლია,
„არაფერია მზის ქვეშ ახალი“,
ამას გვასწავლის რადგან ბიბლია,
რომ „ყოველივე ამაოა“ და...
... და თუ აქ ყოფნა შენი ხიბლია,
ფრენა და ხტომა მაინც ისწავლე,
შენს ქვემოთ,
ხედავ,
ეშმას ხევია,
უფსკრულის ფსკერზე თორემ უძლურნი
ვირთაგვებივით შეგესევიან.

რუსუდან ჯინჯიხაძე,
ქ. ბათუმი

◎ ადამიანი დროში

„ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲘᲡᲔ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ. ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ. ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲐ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲖᲘᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ... ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ, ᲮᲛᲐᲨᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜᲐᲪ ᲒᲠᲫᲜᲝᲑ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲫᲒᲔᲠᲡ ᲒᲣᲚᲘ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲮᲔᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ. ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲐ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

— ᲫᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲖᲘᲐ, ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. 80 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲐᲡᲐᲙᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲔᲢᲧᲝᲑᲐᲗ...

— მადლობა, თქვენი ყურაღდებით ძალიან გამახარეთ...

— გონებრივი დატვირთვა რომ გაქვთ გასაგებია, მაგრამ ფიზიკური შრომა რატომლა გიწევდათ?

— გალის რაიონში გავიზარდე, დიდი ეზო გვქონდა. მამა თანამდებობის პირი იყო, დედაც მუშაობდა, ამიტომ ცოტა რომ წამოვიზარდე, ჩემს თავზე ვიღებდი ოჯახის მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობას. ფიზიკურად ვიტვირთებოდი, რა თქმა უნდა, სახლსაც ვუვლიდი და ეზო-კარსაც. მიხაროდა, მშობლებს რომ ვეხმარებოდი.

— მაგრამ ექიმობაზეც ოცნებობდით, არა?

— ბავშვობიდანვე მიზიდავდა ეს პროფესია. ბიძაშვილი იყო ექიმი, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, მას ვბაძავდი. ვთამაშობდი ფონენიდოსკოპით, სამედიცინო ხელსაწყოებით, თუკი ვინმე მათხოვებდა. ექიმის გამოწერილი რეცეპტიდან ვიხატავდი ასოებს, რადგან მაშინ ლათინურისა არაფერი გამეგებოდა. მოკლედ, ჩემ ირგვლივ საექიმო ატმოსფეროს ვქმნიდი. განსაკუთრებით მიყვარდა ანატომია...

— მაგრამ ორთოპედია — ეს ხომ მედიცინის არცთუ პოპულარული დარგია, რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს სფერო აგერჩიათ?

— როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე. იქ ვაქტიურობდი პედიატრიულ, გინეკოლოგიურ და ნევროლოგიურ წრეებში. ალბათ, ამან მიბიძგა ორთოპედიისკენ. თუმცა, რეალურად ჩემი წარმატება ამ სფეროში განაპირობეს ცნობილმა პროფესორებმა ოთარ ღუდუშაურმა და ეთერ ლორთქიფანიძემ. რაც უნდა კარგად იცოდე საგანი, ბიძგის მიცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ინსტიტუტიდან სოფელ მუხრანში გამანაწილეს, სადაც რამდენიმე წელიწადი პედიატრად ვიმუშავე. შემდეგ თბილისში მე-17 და მე-10 ბავშვთა პოლიკლინიკაში ვმუშაობდი ნახევარ განაკვეთზე ქირურგ-ორთოპედად. ერთ-ერთი შემოვლისას ბატონ ოთარსა და ქალბატონ ეთერს ჩემი ოთახი დაუთვალიერებიათ და ინსტიტუტში დამიბარეს. როგორ მუშაობ, ვინ გასწავლაო, მკითხეს. წიგნები შევიძინე და იმის მიხედვით ვმუშაობ-მეთქი. ეს ერთგვარი სითამამე იყო ჩემი მხრიდან. მათ დამაყენეს ფეხზე და მირჩიეს ამ სფეროში გამეგრძელებინა მუშაობა, გზა გამიკაფეს. მას შემდეგ თითქმის ექვსი ათეული წელია, დიდი სიამოვნებით ვაგრძელებ როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობას.

— უბადლო პროფესიონალი რომ ბრძანდებით, ამაზე მადლიერი პაციენტების არმიაც მეტყველებს. ქალბატონო მზია, თითქოს ამ ბოლო დროს ორთოპედიულმა დაავადებებმა იმატა. ეს თანამედროვეობის სიმპტომებია, თუ ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ადრე?

— არა, ვერ დაგეთანხმებით. არათუ ადრე, ახლაც არ აქცევენ ადამიანები ორთოპედიულ დაავადებებს დიდ ყურადღებას. განსაკუთრებით დაუდევრად იქცევიან მშობლები, რომელთაც ძალიან დაგვიანებით მოჰყავთ ბავშვები. მაგალითად, დედა ამბობს, ბავშვის მამა მხრებში მოხრილიაო და ბავშვს კი ყურაღდებას მანამ არ აქცევს, სანამ პრობლემები არ დაეწყება.

— ანუ ორთოპედიული დაავადებები გენეტიკურია?

— გენეტიკურიც არის და ასევე სხვა მიზეზებიც არსებობს. მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩასახვის პირველ-ორ თვის მანძილზე დედის ნერვიულ მდგომარეობას. შარშან, ქალბატონ მარინა მაჭავარიანთან ერთად, გამოვეცი სამახსოვრო მშობლებისთვის „ორთოპედიული თანდაყოლილი-დისპალიზიური დაავადებების ადრიანი დიაგნოსტიკა“. ეს დაავადებები ქართული პოპულაციის სამხარეო პათოლოგიაა.

— რას ნიშნავს დისპლაზია?

— ეს არის ქსოვილებისა და ორგანოების ფორმირება-განვითარების დარღვევა ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში. ამიტომაც დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და მკურნალობის დროულ დაწყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, ყველა ახალშობილი გასინჯოს ორთოპედმა დაბადების პირველსავე თვეს.

— ეს, ალბათ, მშობელს, უპირველესად, პედიატრმა უნდა ურჩიოს, არა?

— დიახ, თუმცა, რატომღაც პედიატრები საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას. როგორც პედიატრი ერთვება დაბადებიდანვე ახალშობილის ჯანმრთელობის პროცესში, ასევე აუცილებელია ნერვოლოგისა და ორთოპედის მონაწილეობაც. ყველა ბავშვს საეჭვო სიმპტომით უნდა ჩაუტარდეს ექოსკოპია 3-თვემდე, ხოლო 5-6 თვიდან — მენჯ-ბარძაყის რენტგენოგრაფია ხერხემლის სვეტით. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, არასოდეს ვკმაყოფილდები გარეგანი დათვალიერებით, რადგან არსებობს ძვალ-სახსროვანი სისტემის კლინიკურად ამოუცნობი დისპლაზიები, რაც შეიძლება მხოლოდ რენტგენოლოგიური კვლევით დადგინდეს. მართალი გითხრათ, ორთოპედიული დაავადებების მიმართ მშობლების ზერელე დამოკიდებულება შეიძლება ერთგვარად ჩვენი — ორთოპედების ბრალიც არის, რადგან ნაკლებად გადის საზოგადოებაში ინფორმაცია...

— ქალბატონო მზია, დავუბრუნდეთ თქვენი ცხოვრების დეტალებს. ოჯახი როდის შექმენით?

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 24 წლის ასაკში, მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, თავის დროზე უცხო ენების ინსტიტუტის პრორექტორი, კათედრის გამგე, პროფესორი ლუსიანე ნაჭყებია, რომელიც ჩემზე ბევრად შრომისმოყვარე იყო. უხაროდა ყველა ჩემი წარმატება და წინსვლა. ორი ვაჟი მყავს (ლევანი ექიმია, ბადრი — ფილოსოფოსი), სამი შვილიშვილი, რომლებიც გულს მიხარებენ. ასე რომ, მართლაც ძალიან ვამაყობ ჩემი ოჯახით. თბილები არიან, მოსიყვარულეები. თუმცა, მართალი გითხრათ, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თითქოს ჩემი ყოველდღიურობა გაფერმკრთალდა, ხალისი დამეკარგა (ცრემლებს ვერ იკავებს და ცოტა ხნით დუმს).

— თავისუფალი დრო თუ გრჩებათ, ასეთი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად?

— დასვენება არ ვიცი, შრომა და შრომა. ერთადერთი, რაც მამშვიდებს და მსიამოვნებს კროსვორდების შევსებაა. ისე კი მარტოობას, ადამიანების გარემოცვაში ყოფნა მირჩევნია, ბედნიერი ვარ, როცა ჩემი საუკეთესო მეგობარი მარინა მაჭავარიანი გვერდით მყავს. კოლეგები ხელს მიწყობენ და სტიმულს მაძლევენ. ჩემ გარშემო მუდმივად ადამიანების სითბო იგრძნობა...

— ეს არის, ალბათ, ბედნიერება. კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს, ქალბატონო მზია და ვისურვებ, როცა საუკუნისა გახდებით ისევ კარგი ინტერვიუ ჩავწეროთ თქვენთან...

— ოი, რას ამბობთ... საუკუნე?!

ესაუბრა
თეა ᲛᲝᲡᲘᲐ

> **ᲛᲖᲘᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ 1936 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲠᲐᲙᲐᲚᲣᲠ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲘ Ქ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ.
>
> **1981 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲒᲔᲓ. ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲪ „ᲛᲖᲘᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ“.**
>
> **ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲘᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ.**

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

◎ ᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲡ ᲗᲣ?.. ᲣᲪᲮᲝᲓᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲓᲝᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲐᲓᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲡ ᲣᲬᲔᲠᲔᲜ!

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲠᲑᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲡᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲔᲥᲘᲛᲗᲐᲜ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲡᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲔᲓᲘᲪᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ. ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲨᲘ ᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘᲗ.

Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲠᲗᲤᲧᲛᲐᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲡᲐᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲥᲝ ᲥᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ. ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪᲗᲝᲗᲐᲕ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲖᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲖᲔᲐ.

ფარმაცევტული კომპანიების კარნახითა და მოტივირებით ხშირ შემთხვევაში ექიმები პაციენტს იმაზე მეტ და ძვირ წამლებს უწერენ, ვიდრე საჭიროა.

ეს პრაქტიკა ახლა პაციენტებისა და საქაზღვევო კომპანიების ბიუჯეტს აზარალებს, იმ შემთხვევაში კი, თუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მედიკამენტების კომპონენტიც ჩაერთვება, სერიოზულ ზარალს მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტი.

სპეციალისტები დიდი ხანია, საუბრობენ, რომ საქართველოში ექიმებს უწყვეტ სამედიცინო განათლებაზე და მედიკამენტის კლინიკურ კვლევებზე ხელი არ მიუწვდებათ, ამიტომ ხშირად ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო არის წამლის რეალიზაციით დაინტერესებული ფარმაცევტული კომპანია, რომელიც არცთუ იშვიათად მედიკამენტის გამოწერის სანაცვლოდ ექიმებს ფინანსურ დაინტერესებას სთავაზობს.

ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე ღიად საუბრობს „საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება“, რომელმაც ამ საკითხზე კვლევა ჩაატარა და მისი მოგვარების რეკომენდაციებიც დადო.

ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის **არჩილ მორჩილაძის** განცხადებით, კვლევის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ექიმმა პაციენტს დღეში მისაღებად 13 აბი და დამატებით მალამო გამოუწერა. ხშირია 7-დან 11-მდე მედიკამენტის დანიშვნის ფაქტებიც, მეტიც: ზოგჯერ ექიმს პაციენტისთვის ერთი და იგივე ჯგუფის რამდენიმე მედიკამენტიც კი დაუნიშნავს. კიდევ ერთი პარადოქსია, რომ საქართველოში არაერთი ჯენერიკი (შემოტანილი, იაფფასიანი წამლები) ორიგინალ წამალზე ძვირი ღირს.

კვლევის შედეგების საფუძველზე, ექიმებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ როდესაც ნიშნავენ ანალოგს, მიაქციონ ყურადღება ფასს.

მორჩილაძე ამბობს, რომ კონტროლის ერთადერთი მექანიზმია ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება და წამლის გამოწერის მკაფიო სტანდარტის განსაზღვრა, რის შემდეგაც ისინი მედიკამენტების დანიშვნაში საკუთარ ინტერესს ვეღარ ჩადებენ.

„ექიმებმა უნდა იხელმძღვანელონ პროტოკოლით, რა შემთხვევების დროს რა მედიკამენტით უნდა მოხდეს მკურნალობა. პირველადი ჯანდაცვის რეფორმა თუ განხორციელდება, უწყვეტი სამედიცინო განათლება უზრუნველყოფილი იქნება, პირველ რიგში, მათი კომპეტენცია ამაღლდება და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება, შესაბამისად ინტერესის ჩადება აშკარა გახდება და წამლის გამოწერის პროცესში ეს ფაქტორი ვეღარ ჩაიდება,“— აცხადებს მორჩილაძე.

მისი თქმით, ეს თავად ექიმებსაც მეტად დაცულს გახდის. მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებაც ყურადღებით მოეკიდოს ამ თემას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომლებიც სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების მორიგ სხდომაზე იქნა მიღებული, ისინი ასე გამოიყურება:

- **ექიმებმა პაციენტისთვის სამკურნალო საშუალებების გამოწერისას მაქსიმალურად იხელმძღვანელონ მოქმედი კლინიკური მართვის პროტოკოლებით და სამედიცინო დოკუმენტაციაში, კერძოდ ფორმა № IV- 100-ში მხოლოდ სამკურნალწამლო საშუალებები შეიტანონ და არა ბიოლოგიურად აქტიური დანამატები.**
- **არაორიგინალი პრეპარატების მიღებისას რეკომენდაცია მიეცეს ექიმს, პრეპარატების გამოწერისას ყურადღება მიაქციონ მის ფასს, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში(ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე) ჯენერიული ანალოგი პრეპარატის ფასი აღემატება ორიგინალის ფასს.**
- **მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადახედონ ფარმაცევტული პროდუქტის ე.წ. ნებაყოფლობითი რეგისტრაციის რეჟიმს, რათა გარკვევით გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ბიოლოგიურად აქტიური დანამატი და სხვა სამკურნალო საშუალებები.**
- **მოხდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის დანერგვა და მასში განსაკუთრებით გაძლიერდეს კლინიკური ფარმაკოლოგიის როლი.**

ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ

ვიდრე შავ ზღვას ცეცხლი მოეკიდებოდეს

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა წარმომადგენლები დიდი ხანია, აცხადებენ, რომ ამჟამად ჩვენი პლანეტა კატასტროფების სტადიას გადის, რომლის გამოვლინებებია სტიქიური უბედურებები.

ბოლო ასწლეულის მანძილზე დედამიწაზე მიწისძვრებისა და ვულკანების ამოფრქვევების სიხშირეს არ მოუმატია, ქარიშხლების, შტორმების, მეწყერების, წყალდიდობებისა და მასშტაბური ტყის ხანძრების რიცხვი კი უკანასკნელი 40-50 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ადამიანიც მნიშვნელოვანწილად გეოლოგიურ ძალად იქცა, თუმცა კი, ამ ძალის უსაფრთხოდ გამოყენება ჯერაც ვერ ისწავლა. კაცობრიობის ტექნიკურმა სიმძლავრემ, ნებსით თუ უნებლიეთ, ბიოსფეროს მეტაბოლიზმი დაარღვია — წიაღიდან ზედაპირზე ტრილიონობით ტონა სამთო ქანი ამოგვაქვს, ქალაქები და გზები დედამიწის შიგნეთიდან ამოღებული მასალებითაა აგებული, ენერგიის მისაღებად ნავთობს, გაზსა და ქვანახშირს ვწვავთ, ამავდროულად ატმოსფეროში ტონობით ნახშირორჟანგსა და სხვა მომწამვლელ გაზსა და აეროზოლს ვაფრქვევთ, ვანადგურებთ ტყეებს და უზარმაზარ ტერიტორიებზე ასფალტსა და ბეტონს ვაგებთ. ამის მთავარი უარყოფითი შედეგი კი კლიმატის გლობალური ცვლილებაა.

თუკი ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ამჟამად მიმდინარეობს, **საყოველთაო დათმობის შედეგად მსოფლიო ოკეანის დონე იმდენად აიწევს, რომ 50 წლის შემდეგ ხმელეთის იმხელა ტერიტორიები დაიტბორება, სადაც ამჟამად 2 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (!).**

ატომური ბომბის გარდა, კაცობრიობა ახლა უკვე ჩერნობილისა და ფუკუსიმას „პატრონიცაა“, ამ ტიპის იარაღის გამოცდებს მიწისძვრების რიგი მოსდევს ხოლმე და ყოველივე ეს იმ პირობებში ხდება, რომ დედამიწის წიაღის, მისი შემადგენლობისა და აგებულების შესახებ კაცობრიობას, სამწუხაროდ, ძალიან მწირი ცოდნა გააჩნია.

ერთ-ერთი თეორიით, დედამიწა, ანუ გეა — ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია და თუ ეს მართლა ასეა, კაცობრიობა მის სხეულზე რაღაც პარაზიტად, მეტხორცად წარმოჩინდება, რომელსაც, ადრე თუ გვიან, გეა თავიდან მოიცილებს.

იმ ეკოლოგიური კატასტროფების ჩამონათვალში, რომლებიც კაცობრიობას უდიდეს საფრთხეს უქმნის, ამერიკის კონტინენტზე იელოუსთოუნის სუპერვულკანის შესაძლო ამოფრქვევაა, რის შედეგად წიაღიდან ამოფრქვეული ფერფლი დედამიწაზე „საუკუნოვან ზამთარს“ წარმოშობს. როგორი იქნება ამ შემთხვევაში კაცობრიობის თუნდაც მცირედი ნაწილის გადარჩენის პერსპექტივა, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ერთი „ეკოლოგიური ბომბი“ კი ჩვენ სულაც „სახლში“ გვაქვს — ესაა ათასწლეულების მანძილზე შავ ზღვაში დაგროვილი გოგირდწყალბადი, რომელიც უმთავრესად, ყველაზე ღრმა ადგილებში კონცენტრირდება. არსებითად კი საქმე ისეა, რომ **შავი ზღვის ყველა ბინადარი, ფაქტობრივად, ზედაპირიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე ცხოვრობს, 100 მეტრზე ქვევით, გარკვეული სახეობის ბაქტერიების გარდა, არც არანაირი თევზი თუ ცხოველი, არც მცენარე არ არის.**

ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელი კი ზღვის მკვდარი ზონის თანდათანობით ზედაპირისკენ ამოწევაა, რომელიც XX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, 400 მეტრის სიღრმიდან, ზოგ ადგილში წყლის სარკიდან 50-ზე, ზოგან კი, სულაც, 30 მეტრის სიღრმეზე ამოვიდა.

რამდენიმე წელიწადში კი ნახშირწყალბადის ამოსვლამ შესაძლოა, გლობალური კატასტროფა გამოიწვიოს, რის შედეგად საჭირო გახდება ზღვის სანაპირო რაიონებიდან მილიონობით ადამიანის გადასახლება, რადგან ეს გაზი ძლიერ შხამიანია, თანაც ცეცხლსაშიში.

1927 წლის მიწისძვრის დროს შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებლები ყირიმში ზღვაში ცეცხლის უზარმაზარ სვეტებსა და გაზის ღრუბლებს ხედავდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ზღვის წიაღიდან ამოვარდნილი გოგირდწყალბადი იწვოდა. არადა, იმ დროს ის ჯერ კიდევ არ იყო ასე ახლოს წყლის ზედაპირთან, მისი ამოფრქვევები კი მხოლოდ ალაგ-ალაგ ხდებოდა. ამჟამად შავი ზღვისპირეთის მცხოვრებნი ხშირად უჩივიან ზღვიდან მობერილი ქარის მოტანილ ლაყე კვერცხის სუნს, რომელიც გოგირდწყალბადისთვისაა დამახასიათებელი. ეს შხამიანი გაზი თავბრუსხვევასა და თავის ტკივილს იწვევს, მისი მაღალი კონცენტრაცია კი სასიკვდილოა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მაშინდელ საბჭოთა კავშირში დაიწყეს ტექნოლოგიის შემუშავება, რომლის გამოყენებით შესაძლებელია შავი ზღვის სიღრმეში დაგროვებული გოგირდწყალბადის გაუვნებელყოფა, თანაც მისი სამეურნეო საჭიროებისთვის გამოყენება. მაგრამ ამ პროექტის განხორციელება დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული, საჭირო სახსრების გამოძებნა ვერ მოხერხდა, ხოლო, როცა 80-იან წლებში სპეციალისტებმა პერსპექტიულ ტექნოლოგიას მიაგნეს, „პერესტროიკაც“ დაიწყო და ეკოლოგიისთვის აღარავის ეცალა.

ახლა კი სწორედ ამ ტექნოლოგიის საფუძველზე ყირიმში ერთი წლის მანძილზე საწარმო კომპლექსის აშენებას გეგმავენ, რომელსაც **მტკნარი წყლით, ელექტროენერგიითა და გათბობით პატარა ქალაქის უზრუნველყოფა შეუძლია.**

უნიკალური ტექნოლოგიური პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ **გოგირდწყალბადის შემცველი წყალი ზღვის სიღრმიდან იტუმბება, სპეციალურ დანადგარში მისგან გოგირდისა და წყალბადის გამოყოფა ხდება.** წყალბადი — ესაა ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, რომლის დაწვის შემდეგ წყლის ორთქლი წარმოიშვება. გამოცდებმა აჩვენა, რომ ბენზინში მისი ჩამატება ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტს 40-45 პროცენტით ზრდის. გარდა ამისა, ასზე მეტჯერ მცირდება გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობა. წყალბადის გამოყენება მეტალურგიაშიც შესაძლებელია, რადგან ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების შემცირება აქაც შეიძლება. გოგირდს კი ბევრ ქვეყანაში სამანქანო გზების მშენებლობაში იყენებენ, რადგან მცირდება ბიტუმის ხარჯი, უმჯობესდება საფარის ხარისხი და თერმოგამძლეობა. ასევე შესაძლებელია მტკნარი წყლითა და გათბობით ზღვის მიმდებარე ზოლის დასახლებული პუნქტების მომარაგება.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ არსებობს აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივები შავი ზღვის აუზის მთელ რიგ ქვეყნებში — ბულგარეთში, რუმინეთში, ცხადია, საქართველოშიც. თუმცა კი, ამის თაობაზე რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უახლოეს მომავალში არ იგეგმება.

არადა, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ოკეანის დონე გამუდმებით იზრდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე ათეულ წელიწადში მთელი რიგი ქვეყნის სანაპირო ზოლი დატბორვის საფრთხის წინაშე დგას, ამიტომაც იქიდან წყლის გარკვეული ნაწილის იქით გადაქაჩვა, სადაც მისი აშკარა ნაკლებობაა, ურიგო ნამდვილად არ იქნება.

მაგალითისთვის შეიძლება არალის ზღვის მაგალითის მოტანა, რომლის ამოშრობა უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფაა. მის ადგილას ამჟამად პესტიციდებით მოფენილი უდაბნოა, რომელიც ქარს ათასობით კილომეტრზე გადააქვს. სტატისტიკით, არალისპირეთის ქალების 80 პროცენტს ანემია სჭირს, 30 პროცენტით მოიმატა მუცლის ტიფით დაავადებათა შემთხვევებმა. იტანჯება მილიონობით ადამიანი, ერთიანად განადგურებულია იქაური ფლორა და ფაუნა. არალის ზღვის გადარჩენის ერთადერთი იმედი კი იქ წყლის გადაქაჩვაა.

სხვათა შორის, მეტად საგულისხმოა, რომ ირანის მთავრობამ უკვე დაინტერესება გამოთქვა ამ გზით ურმიას ტბის აღდგენის საკითხის მიმართ.

ამდენად, **სამსეგით ცხადია, რომ შავი ზღვის გოგირდწყალბადისგან გაწმენდის საკითხი უდიდესი რეგიონალური და ადგილობრივი პრობლემაა, რომლის გადაჭრაში საძართველო რაც უფრო დროულად ჩაერთვება, მით უფრო მეტ სარგებელს მიიღებს ჩვენი ზღვისპირეთის მოსახლეობაც, ეროვნული ეკონომიკაც და გარემოც.**

ოთარ ტურაბელიძე

◎ ფინანსების შენახვისა და გაზრდის 30 პრინციპი

ყველაზე დიდი საბანკო ანგარიშიც კი ვერ შეგიცვლით შვილებს!

1. **ჯობს**, ყურებამდე საქმეში იყო, ვიდრე ვალებში;
2. საკრედიტო ბარათები — ეს არის მოკლე ყულფი, რომელსაც ბანკები გაბამენ;
3. შემოსავლის გაზრდაზე ზრუნვა იწყება ხარჯების შემცირებით;
4. საკრედიტო ბარათი მხოლოდ ლამაზად გამოიყურება;
5. შემოსავლის რაოდენობა უნარების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია;
6. როცა ფულის გამო მუშაობთ — თქვენ სხვის თამაშს თამაშობთ;
7. „თუ მოიწყენთ — მობრძანდით და კრედიტი აიღეთ“. საკრედიტო განყოფილების თანამშრომელი;
8. თუ გინდა, რომ სრულიად შიშველი დარჩე — ითამაშე ბირჟაზე;
9. სამუშაო მგელი არ არის — არ იკბინება;
10. ხელმძღვანელი ყოველთვის მეტს იღებს, ვიდრე დაქვემდებარებული თანამშრომლები.
11. ფულის დახარჯვის ცდუნება ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე გამომუშავების;
12. ხელმძღვანელის გარეშე კომპანია არის ქმედითუუნარო;
13. თუ არ ეთანხმები შენს ხელმძღვანელს — შექმენი საკუთარი კომპანია;
14. ცუდი საკრედიტო ისტორია — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბანკის გვერდით პარკინგის ადგილი არ გაქვს;
15. მეწარმეს ყველა ძუნწად თვლის — თანამშრომლებიც, მაკონტროლებელი ორგანოებიც, ის კი აგრძელებს მათ გამოკვებას;
16. „რატომ არ იზრდება ჩემი ფულის მოცულობა იმის გამო, რომ მე გამუდმებით ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ გამოვიმუშაო მეტი ფული?;“
17. „კლიენტების 20%-ს თქვენთვის მოაქვთ შემოსავლის 80%“ — პარეტოს კანონი;
18. „რატომ არ მიხდიან უფრო მეტ ფულს იმის გამო, რომ კარგი ადამიანი ვარ?“
19. დაიცავით შემნახველი ანგარიში საკუთარი თავისგან;
20. „დილიდან საღამომდე მე ვთამაშობ “ვირთხების გარბენს“, ფული კი ყოველდღიურად უფრო ცოტა მაქვს;

21. „თქვენ გწერთ თამაში „მონოპოლია“-ს ჩემპიონი: როდისღა გამიჩნდება ფული?“
22. „ძვირფასო გურუ, მე სრულად დავეუფლე მედიტაციას ფულთან და მის მოზიდვასთან დაკავშირებით და ახლა საიდან ვიშოვო ფული?“
23. „მას შემდეგ, რაც გავისტუმრე კრედიტი და მთავაზობენ ახალ საკრედიტო ბარათს, ძალიან მინდა, რომ ავიღო და მათ გავუკეთო...“
24. ფული არსად არ ქრება, მათ უბრალოდ ვიღაც სხვა გამოიმუშავებს;
25. არც ცრემლები, არც ღიმილი არ მოულბობს გულს კოლექტორს (გადასახადების ამკრებს);
26. თუ მტრედმა დაგასკორათ — ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: მტრედმა უბრალოდ საკვები მოინელა;
27. ყველაზე დიდი საბანკო ანგარიშიც კი ვერ შეგიცვლით შვილებს;
28. „გადაეცით ტელეფონი ჰოროსკოპის შემქმნელს, რომელმაც დღეს წარმატებული ფინანსური დაბანდება მიწინასწარმეტყველა, მე მინდა მას ვუწინასწარმეტყველო თავისი ბედი!“
29. ყველაზე ძვირად ფასობს ის საქმე, რომლებიც ეფუძნება ცოდნას და გამოცდილებას;
30. მხოლოდ მძიმე სამუშაო დღეებს მოაქვთ მარტივი ფული.

B2P.GE

◎ შეშლილი მსოფლიო

„ისლამური სახელმწიფო“ თვითგანადგურებამდე მიდის, მაგრამ ...დასავლეთსაც ანადგურებს“!

ბრიუსელში განხორციელებული ტერორისტული აქტის პარალელურად, პენტაგონმა მასიური საჰაერო დარტყმა განახორციელა იემენში „ალ-ქაიდას“ საწვრთნელ ბაზაზე. ორი საჰაერო დარტყმა, რომელიც გამთენიისას განხორციელდა, 200-მდე ტერორისტის განადგურებით დასრულდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აფრთხილებს საკუთარ მოქალაქეებს, რომ ევროპაში მოსალოდნელი ტერაქტების გამო თავი შეიკავონ მოგზაურობისგან. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რაც ხდება ირგვლივ, თავი შეიკავონ ხალხმრავალ ადგილებში მოძრაობისგან, იყვნენ განსაკუთრებულად ყურადღებით რელიგიური დღესასწაულების ფესტივალების და სხვა ღონისძიებების დროს, რადგან ტერორისტები გეგმავენ შეტევას ტურისტულ ადგილებზე, ფესტივალებზე და სხვა ხალხმრავალ თავყრილობებზე.

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილ ალიანსში შესულ ქვეყნებს ვპირდებით, რომ მათ საშინელი, შავი დღეები ელოდებათ“, — ნათქვამია ტერორისტული დაჯგუფების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მუქარის მიუხედავად, ევროპის ერთიანობას საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, შექმნილმა მდგომარეობამ ევროპა კიდევ უფრო გააერთიანა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში მსოფლიო ერთიანი გეგმით ერთვება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების ზომები და პრევენცია, მაგრამ, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტი თავისუფლების რეჟიმით უნდა გასცეს პასუხი ევროპამ ტერორიზმს და მსგავსი ტიპის აგრესიას. თინა ხიდაშელის განცხადებით, დღეს მსოფლიოს წინაშე ორი ამოცანა დგას:

„პირველი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ყველა ძალის მობილიზებით შევქმნათ იმის შესაძლებლობა, რომ მსგავსი ტიპის ტერაქტების პრევენცია მოხდეს. როდესაც ნიუ-იორკში 11 სექტემბერი მოხდა, მაშინ ყველას ჰქონდა განცდა, რომ ამაზე უფრო უარესი შეუძლებელია დაემართოს მსოფლიოს. თუ ეს შესაძლებელი იყო მომხდარიყო ნიუ-იორკში, მაშინ ყველა დაუცველია. გუშინდელმა ბრიუსელმა აბსოლუტურად ანალოგიური ემოციით დატოვა მსოფლიო, რადგან ეს არის ქალაქი, რომელიც ყველას გვგონია, რომ ყველაზე მეტად დაცულია. ცინიზმის პასუხი სწორედ ეს იყო, ბრიუსელი და არა რომელიმე სხვა ქალაქი იმისთვის, რომ ყველას გაგვიჩნდეს დაუცველობისა და უსუსურობის განცდა“.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში შორენა ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ პრობლემის ყველა გასაღები დასავლეთის ხელშია, როგორც არის ეკონომიკური სიძლიერე და ტექნოლოგიური განვითარება, მაგრამ ეს რესურსები იმ ძალადობის და სისასტიკის ფონზე თავის მნიშვნელობას კარგავს.

„ევროპა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ალბათ, რაიმე პარადიგმული ცვლილებაა საჭირო, რითაც ტერორიზმს უნდა ებრძოლოს არა მარტო დასავლური ნაწილი, არამედ კაცობრიობა. ის ზომები და მიდგომები, რომელიც ტერორისტთან ბრძოლის წინააღმდეგ არის გამოყენებული, ფაქტია, რომ საკმარისი არ არის. ვერ ვიტყვი, რომ ამ საფრთხის გაცნობიერების პრობლემა არის. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რა იქნება ის გასაღები, რომლითაც დასავლეთი მოერევა „ისლამურ სახელმწიფოს“.

დასავლეთი ნამდვილად არის დემოკრატიის აკვანი, მაგრამ ასეთი ხერხებით და არსებული კონცეპტუალური საფუძვლებით, ფაქტია, რომ ვერ უმკლავდება ტერორიზმს. პირიქით, სოკოებივით ახალ-ახალი ექსტრემისტული ჯგუფები ჩნდებიან და კიდევ უფრო მოძალადეები არიან. სამწუხაროდ, ტერორისტების მოქმედების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და აძლიერებენ თავის ქსელებს დასავლეთში. **„ისლამური სახელმწიფო“ აცნობიერებს, რომ თვითგანადგურებამდე მიდის, მაგრამ ამით ცდილობს გაანადგუროს დასავლეთი“**, — აცხადებს შორენა ლორთქიფანიძე.

თამთა ძარჩავა

◎ პოლიტოლოგთა აზრი

„თუ ტერაქტები გაგრძელდა, ვიზალიბერალიზაციაზე საუბარი შესაძლოა, საერთოდ გაჩერდეს“

ევროპის შუაგულში, ბრიუსელში განხორციელებულმა ტერაქტების სერიამ კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური ევროპის საზღვრების ჩაკეტვის თემა. ამ მოსაზრებას ევროპაში ნაციონალური იდეის მატარებელი პოლიტიკური ძალები ავითარებდნენ, განსაკუთრებით — პარიზის ტერაქტების შემდეგ. ამ ფონზე საქართველო ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის მიღებამდე დღეებს ითვლის. რამდენად შეიძლება, იქონიოს გავლენა საქართველოზე ევროპაში მიმდინარე პროცესებმა, მით უფრო, რომ ექსტრემიზმის საკითხი, არც ისე აქტუალურად, მაგრამ საქართველოს მაინც უდგას და საქართველოს მოქალაქეებმაც გამოიჩინეს თავი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში? — ამ თემაზე „ბძენტი“ პოლიტოლოგებს ესაუბრა.

თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი** მიიჩნევს, რომ ტერორიზმს პასუხი უნდა გასცეს ერთიანმა ევროპამ, მაგრამ არა საზღვრების ჩაკეტვის ხარჯზე.

„პასუხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცავდეს იმას, რის გამოც ტერორიზმი დღეს მსოფლიოში მძვინვარებს: არ უნდა მოიცავდეს თავისუფლებების შეზღუდვას, არ უნდა მოიცავდეს საზღვრების ჩაკეტვას, არ უნდა მოიცავდეს იმას, რომ ჩვენმა თავისუფლებამ, საზღვრების გაფართოებამ დაგვაყენა ამ საფრთხის წინაშე“, — განაცხადა მან.

ანალიტიკოსი **თორნიკე შარაშენიძე** ამ კუთხით რუსული პროპაგანდის მოძლიერების საფრთხეს ხედავს, რომელსაც „საქართველოს მთავრობა არ ან ვერ უპირისპირდება, რეზულტატი კი არის ის, რომ პროპაგანდას არავინ ებრძვის“.

„ამ ეტაპზე ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენად გაკონტროლდება ჩვენს მიერ საზღვრები. თუ მათ დაინახეს, რომ ადგილი ექნება ისეთ შემთხვევებს, როგორსაც, სამწუხაროდ, უკვე ჰქონდა, როდესაც რამდენიმე ახალგაზრდა გადაიპარა პანკისიდან, ეს, ბუნებრივია, პროცესზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებს. მიზეზს ეძებენ და შეიძლება, ჩვენ შევრჩეთ ხელში. ეს ძალიან ცუდი იქნება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვითმინოთ და იმედი მაქვს, ჩვენი დიპლომატებიც ივარგებენ. მე უფრო იმის მეშინია, რომ ჩვენმა პოლიტიკოსებმა შიდა პოლიტიკაში არ ჩაიფლავონ, არჩევნებისთვის რაიმე არ მოიმოქმედონ. მე ძალიან მაშინებს დაანონსებული კადრების გამოქვეყნება, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანას დააზიანებს. ევროკავშირი კი ამბობს, მე ხალხზე ვზრუნავ და პოლიტიკოსების სისულელეები ნაკლებად მაინტერესებსო, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს მაინც იმოქმედებს. ყველაზე მეტად რაც მაწუხებს, რუსული პროპაგანდის გაძლიერებაა, რომლის ფონზეც ევროკავშირის იდეის დისკრედიტაცია ხდება. „ევროპული ტერაქტების“ შემდეგ ბევრმა თქვა — რად მინდა ევროკავშირი, იქ აფეთქებენ ვიღაცებს — ამას რუსული პროპაგანდა მშვენივრად იყენებს, მთავრობა კი ხელს არანაირად არ უშლის. მთავრობა არ მუშაობს მოსახლეობასთან, რათა აუხსნას, თუ რა კონკრეტული სიკეთეები მოაქვს ევროკავშირს. პირველ რიგში, ეს შეიძლება, იყოს უზარმაზარი გრანტები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ჩვენი მთავრობისგან სულ გვესმის — „გლეხს უნდა დავეხმაროთო“. აჰა ბატონო, ევროკავშირი მზადაა, გლეხებს დაეხმაროს და თავად რატომ არ აგებინებენ ამას მოსახლეობას, რატომ არ მუშაობენ, არ მესმის!“ — განაცხადა თორნიკე შარაშენიძემ.

პოლიტოლოგი **კახა გოგოლაშვილი** მიიჩნევს, რომ საქართველო შესაძლოა, საერთო სურათის მსხვერპლი გახდეს.

„იმ დონეზე, რომელზეც ჩვენ გვაქვს ექსტრემიზმის პრობლემა, ბევრ ქვეყანას აქვს და უფრო მეტიც. მაგალითად, ბოსნია, ჩეხეთი, მაკედონია — იქ უფრო მეტი პრობლემაა ექსტრემიზმის და თუ გნებავთ ტერორიზმისაც, ვიდრე საქართველოში. საქართველოს ეს პრობლემა ნაკლებად აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ევროკავშირში ფონი იცვლება და მთლიანად მიგრაციული პროცესის გამკაცრება ხდება, ამან შესაძლოა, ხელი შეგვიშალოს იმ შემთხვევაში, თუ კიდევ უფრო დამძიმდება სურათი. ბრიუსელის ტერაქტები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თუ ასეთი აქტები კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში არ განმეორდა, ჩვენ მივიღებთ უვიზო მიმოსვლას, მაგრამ თუ კიდევ რამდენიმე მსგავსი ტერაქტი განხორციელდა, ვიზალიბერალიზაციაზე საუბარი დროებით შესაძლოა, საერთოდ გაჩერდეს: დაიწყონ საუბარი იმაზე, რომ შენგენის ზონა დროებით ჩაკეტონ და გაამკაცრონ ადამიანების გადაადგილება ქვეყნიდან ქვეყანაში“, — განაცხადა გოგოლაშვილმა.

დიანა მუსელიანი

დედამიწის ზურგზე

ევროკავშირში ნევრობა იცავს ბრიტანეთს რუსეთის ფედერაციის შესაძლო ზემოქმედებისგან ენერგოსისტემაზე, განაცხადეს ლონდონში

ენერგეტიკის მინისტრის ემბერ რადის მომზადებულ გამოსვლაში, ვინაც წინააღმდეგია ქვეყნის ევროკავშირიდან გამოსვლისა, ნათქვამია: „დავეყრდნოთ უცხოეთის ენერგიას — სარისკოა. ჩვენ დავინახეთ, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა პუტინის რუსეთი, იყენებენ გაზის თავიანთ მიწოდებას საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად, საფრთხეს უქმნიან მათს მიწოდებას ანდა მკვეთრად ზრდიან მათს ფასებს.

თურქეთმა განაცხადა, რომ ბელგიას აფრთხილებდა ბრიუსელის ერთ-ერთი თვითმკვლელის შესახებ

„ბელგიამ უგულებელყო ჩვენი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ეს კაცი უცხოელი ბოევიკია“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა. მას არ უთქვამს, თუ, კერძოდ ვისზეა საუბარი ბრიუსელის ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილთა შორის, მაგრამ, როგორც ბელგიის ხელისუფლების განცხადებიდან ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი ძმა ბაკრაუი.

როიტერს: პარიზის ტერორისტული აქტების შემდეგ ბელგიის სპეციალურმა სამსახურებმა უარი განაცხადეს ამერიკასთან თანამშრომლობაზე

პარიზში 13 ნოემბერს ტერორისტების შეტევების სერიების შემდეგ მალე უმალესი რანგის ამერიკელ ჩინოვნიკს ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედების სფეროში სურდა ბრიუსელში ჩასვლა, რათა მიეღო მეტი ინფორმაცია გამოკვლევების მსვლელობის შესახებ. მაგრამ ბელგიელი პარტნიორები არ მისალმებიან ამ ინიციატივას, თანამშრომლობაზე უარი ახსნეს გადატვირთულობის გამო.

ისლამურმა სახელმწიფომ 400 მებრძოლი მოამზადა ევროპაში შეტევებისათვის

ბოევიკებს ამზადებდნენ რამდენიმე ბანაკში, რომელთაგანაც ზოგიერთები შეიძლებოდა განთავსებულიყო ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების ტერიტორიებზე, ამტკიცებს ამერიკული სააგენტო ასოშიეიტედ პრესი.

ობამამ იცეკვა ტანგო არგენტინაში და ის გადაიღეს ვიდეოზე კუბელ კომიკოსთან ერთად

ცნობილი არგენტინული ცეკვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა შეასრულა ბუენოს-აირესში ოფიციალური მიღების დროს. ამ დროს მისი პარტნიორი გახდა არა მისი ცოლი მიშელი. ვიდეოზე ობამა თითქოს კუბელ კომიკოსთან სწავლობდა დომინოს თამაშს.

◎ ვარაუდი

THE GUARDIAN: ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ EURO 2016 შესაძლოა, ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართოს!

„შესაძლოა, უეფას ევროპის ჩემპიონატი (Euro 2016) ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართოს“, — აღნიშნული განცხადება უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჯანკარლო აბატემ გააკეთა.

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტის შემდეგ UEFA-მ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ მომხდარი ტერაქტების გათვალისწინებით, Euro 2016-ის ორგანიზაციულ გეგმებში თავდაცვა და უსაფრთხოება უმაღლეს დონეზე იქნებოდა აყვანილი. თუმცა, იტალიის ფეხბურთის ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა აბატემ უფრო მკვეთრ ნაბიჯებზე ისაუბრა: „Euro 2016-ის გადადება შეუძლებელია. ტერორიზმის საფრთხე არსებობს, შესაბამისად ვერც ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაშს გამოვრიცხავთ. სხვა თამაშების, მაგალითად, ამხანაგური თამაშების გადადება სულ სხვა საკითხია და ამგვარ მიდგომაზე არც ვიფიქრებდით, მაგრამ ახლა ვსაუბრობთ ჩემპიონატზე, რომელიც ივნისში უნდა გაიმართოს“.

Euro 2016 ივნისში, საფრანგეთში უნდა გაიმართოს. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის ბერნარდ კაზენოვის განცხადებით, საფრანგეთი Euro 2016-ის უსაფრთხოების გარანტიისათვის ყველა შესაძლო ზომას გამოიყენებს. „სპეციალურად მომზადებული პოლიცია, სამაშველო ჯგუფები და სახანძრო მთელი ტურნირის განმავლობაში მობილიზებული იქნება, რათა კოლექტიური უსაფრთხოება დაცული იყოს,“ — აღნიშნა კაზენოვმა.

ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორების განცხადებით, უსაფრთხოების მიზნით უკვე 10.000 ადამიანია დაქირავებული. სტადიონის ყველა შესასვლელში მეტალის დეტექტორები იქნება დამონტაჟებული. ტერაქტის შემდეგ ბელგიის საფეხბურთო ნაკრებმა დაგეგმილი ვარჯიში გააუქმა. სამშაბათს ბელგიელები პორტუგალიელებს უნდა დაუპირისპირდნენ, თუმცა დიდი ალბათობით, თამაში გადაიდება. როგორც გუშინ შევიტყვეთ, იგი ლისაბონში გადაიტანეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფინალის წინ

რევანშის ზღურბლთან

ხვალ ლისაბონში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალია: საქართველო — საფრანგეთი.

დიახ, ეს გუნდები ზედიზედ მეორედ გაითამაშებენ თანატოლთა კონტინენტური ფორუმის მთავარ ჯილდოს და „ბორჯღალოსნებს“ ჩინებული შანსი ეძლევათ ღირსეული რევანში აიღონ მრისხანე მეტოქესთან განვლილი ტურნირის სატიტულო ბრძოლაში მარცხისთვის.

გვწამს, რომ საამისოდ ისინი შესაძლებლობათა მაქსიმუმს გაიღებენ.

რაც შეეხება პერსპექტივას, კიდევ უფრო საამაყოა, რომ ქართულ რაგბის საიმედო ცვლა ეზრდება და ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ სპორტის ამ სახეობის ფეხზე მყარად დასაყენებლად გაღებული მილიონები სათანადო შედეგებით უკვე დღესვე ფასდება.

ჯერ სადა ხართ!

ნახევარფინალი. საქართველო — პორტუგალია 29:10, საფრანგეთი — ბელგია 62:3.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

სადებიუტო ციებ-ცხელება

იმ აქსიომის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების უმთავრესი დანიშნულება ეროვნული გუნდისთვის კანდიდატთა მომზადებაა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ „უმცროსთა“ ახალი თავკაცი გია გეგუჩაძე მოვალეობის შესრულებას წარმატებით შეუდგა.

დიახ, სან-მარინოსთან იოლი გასეირნების — 4:0 (ხარაიშვილი, კაჭარავა — 2, შენგელია) შემდეგ „ჯვაროსანთა“ საწვრთნელ ბანაკში, რომელსაც 29 მარტს „დინამო არენაზე“ ყაზახეთთან ამხანაგური მატჩი ელის, ერთბაშად სამ დებიუტანტს — აბურჯანიას, დვალსა და კაჭარავას უხმეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ აზიელებთან შეხვედრაში შედგება ჩვენებურთა ახალი დამრიგებლის, სლოვაკი ვლადიმერ ვაისის საბრძოლო ნათლობა.

გზა დავულოცოთ მას და მის რჩეულთ.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ერთი ქულის ფასი

მოგეხსენებათ, დღეს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა გრან-პრის გათამაშება იწყება, ამიტომ საკალათბურთო სუპერლიგის მორიგი XXIII ტურის მატჩები შუა კვირაში გაიმართება.

„მგზავრები“ — „ბათუმი“ 63:80,
„სოხუმი“ — „ოლიმპი“ 92:82,
„აკადემია“ — „ქუთაისი“ 65:79,
„რუსთავი“ — „დინამო“ 74:75.

როგორც ხედავთ, ამჯერად დედაქალაქის ოთხივე კლუბი დამარცხდა, თუმცა, უკანასკნელი შეხვედრის შედეგს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

თამაში სტუმართათვის კატასტროფულად დაიწყო — 12:31, რაც უპირველესად მაკალპინის დამსახურება იყო, მაგრამ თანდათან ფარქვეშ ბრძოლაში ტურპინმა და გაჩეშამ პირწმინდად დაჯაბნეს შარაბიძე-ლონდარიძის დუეტი, რამაც განაპირობა კიდეც რუსთაველთა გამარჯვება.

ასე რომ, რეგულარული სეზონის ფინიშამდე რამდენიმე ტურით ადრე პლეი-ოფში გასასვლელად ბრძოლა უკიდურესად გამძაფრდა.

„ბათუმი“, „ქუთაისი“ — 15-15, „სოხუმი“, „დინამო“ — 13-13, „რუსთავი“, „მგზავრები“ — 11-11, „ოლიმპი“ — 9, „აკადემია“ — 5 გამარჯვება.

დავძენთ, რომ უკვე დამთავრდა რუსთავის სპორტის სასახლის რემონტი და სამივე დარჩენილ მატჩს ქვემოქართლელები შინ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბაქოს ტურნირს ქართველთაგან მხოლოდ ცივაძე შემორჩა

ქართველმა ჩოგბურთელმა გიორგი ცივაძემ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე პირველი წრე დაძლია.

ცივაძემ კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული ყაზახი საგადატ აიაპი 6:2, 7:5 დაამარცხა და მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილ რუს ევგენი ელისტრატოვს ეთამაშება.

სამწუხაროდ, ტურნირს გამოეთიშა გიორგი ჯავახიშვილი. ქართველმა ჩოგბურთელმა კვალიფიკაცია კი დაძლია, თუმცა, ძირითად რაუნდში მე-4 რეიტინგის მქონე რუს ევგენი ტიურნევთან 2:6, 1:6 დამარცხდა.

წყვილთა შეჯიბრის მეოთხედფინალში ჯავახიშვილმა და ცივაძემ პირველ ნომრად განთესილ ესპანურ-სერბულ დუეტთან (ორტეგა-ოლმედო/ვუჩიჩი) 6:3, 3:6, 13:15 წააგეს.



ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

მრავლისგამძლე ნადინი

ძალს როდესაც ნადინ ლეოპოლდი ჰქვია, ალბათ ბავშვიც კი მიხვდება, რომ მისი ეს სახელი გამოგონილი და ფსევდონიმია, მაგრამ სახელი ვის რაში გვარგია, როდესაც ამ უცნაური სახელ-გვარის უკან უმშვენიერესი ავსტრიელი მოდელი იმალება, რომლის ნახვაც მართლაც რომ ერთ რამედ ღირს.

მაგრამ ეს ჩვენი მუხთალი დროება აბა ვის გაახარებს, დარდიანი გული ეგრე ბოლომდე რომ გაალაღოს და გაამზეუროს? ამ ხელიხელსაგოგმანებ ასულს, პოდიუმზე განივად გალაჯების გარდა, ბოზაობანიც დიდად ჰყვარებია და პორნოფილმებში თურმე ისეთ მალაყებს აკეთებს, ამის დამნახავი კაცი გულში მჯიღს ჩაიცემს და იტყვის,: საღოლ შენს შეძლებასა და გაძლებასაო...

ეს ჩვენი ნადინი თურმე ზამთარი ისე არ გავა, ავსტრიის სამთო კურორტებზე რომ არ დაგვეჭვიტოს და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დიდი ვერაფერიშვილი მოთხილამურე და მოციგურავეა, სულ იმას იძახის, სპორტის ეს სახეობა ჩემს ორივ ძუძუს მირჩევნისო. არადა, ეგ მკერდი რო არა, ვინ იცის, მისი ცხოვრების გზა როგორ განვითარდებოდა...

როსტომ რაჭველიშვილი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი
კრედიტის/სესხის IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის N P130413

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი–აგარას არსებული მონაკვეთი კმ28 – კმ114) საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და მისასვლელი გზებისთვის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება

კონტრაქტი/ RFP № EWHIP-4/CS/CQS-02
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/CQS-02

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **„E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი–აგარას არსებული მონაკვეთი კმ28 – კმ114) საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და მისასვლელი გზებისთვის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება".**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 90 დღე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს საგზაო პროექტების პროექტირების გამოცდილება, მათ შორის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე საგზაო უსაფრთხოების ინპექტირების და ანალიზის ჩატარების გამოცდილება.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:

- ზოგადი გამოცდილება დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან);
- სპეციფიური გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება, რომელიც მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან);

შეფასების პროცესში ჩაითვლება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებები.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2016 წლის 8 აპრილის, 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის უფროსი.

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Fourth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: THE PREPARATION OF DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR ROAD SAFETY IMPROVEMENTS AND ACCESS ROADS OF THE EXISTING E-60 HIGHWAY (Km28-Km114 NATAKHTARI-AGARA SECTION)

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-02
Reference No. EWHIP-4/CS/CQS-02

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"THE PREPARATION OF DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR ROAD SAFETY IMPROVEMENTS AND ACCESS ROADS OF THE EXISTING E-60 HIGHWAY (Km28-Km114 NATAKHTARI-AGARA SECTION)".**

Estimated duration of assignment is **90 days.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection"** procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Required Qualification of the Consultant:

The Consultant must have experience in designing of roads projects, including preparation of Bidding Documents, as well as in conducting road safety inspection and analysis.

Shortlisting criteria:

General experience in preparation of detailed designs and bidding documents over the past 5 years (starting January 01, 2011);

Similar experience i.e. experience in preparation of road infrastructure detailed designs that include road safety measures over the past 5 years (starting January 01, 2011);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 8, 2016, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

№24.03.2016-ს2-01

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ქ-ნ კრისტინა სონღულაშვილს (მსესხებელს) პ/ნ 01012004901
მისამართი: თბილისი, ვაზისუბანი პირველი მ/რ, კორპ. №1, ბ. 13

მოგესალმებით ქ-ნო კრისტინა,

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა" და თქვენს შორის 2015 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული, ნომერი: **111561219,** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: №151234363, იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **111561219**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 11 იანვარიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 24 მარტის მდგომარეობით მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (177.26აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანება (136.28 აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტი (37.64 აშშ დოლარი) ვადა გადაცილებული ძირითადი თანხა (1,462.8 აშშ დოლარი) ძირითადი თანხა (3,271.27 აშშ დოლარი) (სულ: 5085,25 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ხუთი სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის (ს/კ 01.17.07.043.002.01.013) რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
შპს „ნოვა კრედიტის" დირექტორი **მელორი ასათიანი**

სესხზე პასუხისმგებელი კრედიტ ოფიცერი **ნიკო გურასპაშვილი**

ტელ: 2 15 15 15 ; 2 340 940; მობ: 595 08 08 78
2016 წლის 24 მარტი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კახაბერ კვაჭანტირაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კახაბერ კვაჭანტირაძე (პ/ნ 61004006778), ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის 1, ჩიხი 1, ბინა №53.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქობულეთი, დ. აღმაშენებლის ქ., შესახვევი 2 №56 (საკადასტრო კოდი: 20.42.03.367).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5104.51 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** კახაბერ კვაჭანტირაძე (პ/ნ 61004006778), ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის 1, ჩიხი 1, ბინა №53.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 8 აპრილის 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი, ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი, სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილი თანამშრომელი

როზა (რიდი) ჯოლოგუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების გამგეობის უცვლელი წევრი, დიდი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი და ღირსეული მოქალაქე

ვასო კიკნაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორისა და გულითადი მეგობრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი თეატრმცოდნისა და ქვეყნის ღირსეული მოქალაქის ბატონ

ვასილ კიკნაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 15 აპრილს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2015 წლის ბალანსის შედეგების განხილვა.
მომხს. ნ. გუმბერიძე
2. მოგების განაწილების დამტკიცება.
მომხს. ც. მიქაძე.
3. სხვადასხვა.

ს.ს. „ოპიზარი“-ს აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2016 წლის 2 მარტი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სიხარულიძე (პ/ნ 60002005254), ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35; ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №28.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, გრ. აბაშიძის ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 03.06.26.141).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“) გარდამავალი იპოთეკის უფლება ღირებულებით 0 ლარი.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9130.60 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 1392.78 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 8 აპრილი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;
ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №28;
გიორგი ტყეშელაშვილი (პირადი №01010011307), მის: ვანი, სოფელი ბზვანი;
მარიამ სიხარულიძე (პირადი №60001130037), მის: ქუთაისი, გ. აბაშიძის ქ. №35;
რამაზი ბერაძე (პირადი №60001000352), მის: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 28, ბინა 94; ქუთაისი, რუსთაველის ქ. №13.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 8 აპრილის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ოთარ ბერიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** ოთარ ბერიძე (პ/ნ 61008000120), ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №45, ბინა №4, №5; ქედა, სოფელი ჯალაბაშვილები.
2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
2.1 ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №45, ბინა №4 (საკადასტრო კოდი: 05.24.03.039.01.004);
2.2 უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2.3 **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41838.03 ლარი;
2.4. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 25 მარტი, 12:00 საათი.
2.5. აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 8 აპრილი, 13:30 საათი.
2.6. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
2.7. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP28590516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 285905

3. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
3.1 ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №45, ბინა №5 (საკადასტრო კოდი: 05.24.03.039.01.005);
3.2 უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
3.3 **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41837.10 ლარი;
3.4. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 25 მარტი, 12:00 საათი.
3.5. აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 8 აპრილი, 13:00 საათი.
3.6. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
3.7. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP28587816;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 285878
4. **მოვალე:** მამუკა ბერიძე (პ/ნ 61008001599), ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №45, ბინა №4, №5;
ქედა, სოფელი ჯალაბაშვილები;
ოთარ ბერიძე (პ/ნ 61008000120), ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №45, ბინა №4, №5;
ქედა, სოფელი ჯალაბაშვილები.
5. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
6. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
7. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP28590516; ლოტის ნომერი: 285905; განაცხადის №71271HZP28587816; ლოტის ნომერი: 285878).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 8 აპრილის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ მანანა მენაბდე:

ფოტოები „მუსიკალური ზარდახშიდან“

უალრესად საგულისხმო ფოტოგამოფენას სახელწოდებით „ილუზიები“ მასპინძლობს ამ დღეებში „ქარვასლის“ სახელით ცნობილი თბილისის ისტორიის მუზეუმი, რომლის ავტორი უნიჭიერესი შემოქმედი — მომღერალი, რეჟისორი, მხატვარი, ფოტოხელოვანი მანანა მენაბდე გახლავთ.

მისი ნებისმიერი სახეობის სახელოვნებო მოღვაწეობა მუდამ თვითმყოფადობით, უდიდესი შინაგანი ექსპრესიით და პიროვნებისეული ჰარმონიულობით გამოირჩეოდა.

„ჩემი სახლი მუსიკალური ზარდახშაა... ბედმა ამ დღესასწაულის ნაწილად გაქცია“, — წერს მანანა მენაბდე და შემოქმედებითი პროცესისადმი მისი, ჩვენი სასიქადულო მომღერალი ქალბატონების დები იშხნელების შთამომავლისთვის, ეს მიდგომა ხელოვნებაში მის კრედოს

წარმოაჩენს — იგი თავად თითოეული ნამუშევრის ორგანული მდგენელია.

1991 წლიდან მოყოლებული მანანა მენაბდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბერლინში, რომლის საზოგადოებამ ქართველი შემოქმედი კონცერტებით, მხატვრული და ფოტოგამოფენებით, პერფომანსებითა და სხვადასხვა სახელოვნებო პროექტში მონაწილეობით გაიცნო.

ფოტოხელოვნებამ მანანა მენაბდე 70-იან წლებში გაიტაცა, კრებული „სიყვარულის ახსნა რუსულად“ კი 2013 წელს გამოიცა, რომელშიც მისი დაახლოებით 100 ნამუშევარი შევიდა.

ქარვასლაში 24 მარტს გახსნილ ფოტოგამოფენაზე, რომელიც 15 აპრილამდე გასტანს, წარმოდგენილია მანანა მენაბდის მიერ სხვადასხვა მოტივებზე შექმნილი სერიები —„მანეკენი და სიცოცხლე“, „ტანგოს ლანდები“, „გრაფიკული ფოტოები“, „აკვარელი“, „პასტელი“, „შუქ-ჩრდილები“ და სხვ.

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ კოკა გოგსაძე:

მშობლიური შთაბეჭდილებებით აღსავსე

ძართველ მხატვართა 70-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის კოკა გოგსაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენის დათვალიერება შეუძლიათ ამ დღეებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის, თბილისის ისტორიის მუზეუმის —„ქარვასლის“ სტუმრებს.

ხელოვანი წლების მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში, სადაც მისი იმპრესიონისტული სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედება მხატვრობა საზოგადოებამ კარგად გაიცნო და დააფასა, მან სხვადასხვა ქალაქში გამართულ ჯგუფურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. „ქარვასლაში“ ახლანდელი გამოფენა კი საქართველოში მხატვრის პირველი პერსონალურია.

კოკა გოგსაძის შემოქმედებაში იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი ყველა გამორჩეული ნიშან-თვისება ორიგინალური თვალთახედვითაა წარმოჩენილი, რაც მის მხატვრულ ტილოებს ამ მიმდინარეობის ქართველ დამფასებელთათვის განსაკუთრებით საგულისხმოს ხდის.

გამოფენაზე, რომელიც „ქარვასლაში“ 31 მარტამდე გასტანს, კოკა გოგსაძის დაახლოებით 60 მხატვრული ტილოა წარმოდგენილი, მათ შორის პორტრეტები, ნატურმორტები, ქალაქური ხედები.

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ბარათაშვილის ხიდის ქვეშ მოძრაობის გადაკეტვის გამო ავტობუსების მარშრუტები შეიცვალა!

მიმდინარე სამუშაოების გამო იცვლება იმ მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტები, რომლებიც გაივლიან აღნიშნულ მონაკვეთს. კერძოდ: № 31, 44, 50, 55, 71, 80, 102 — იმოძრავებენ მარჯვენა სანაპირო — მშრალი ხიდი — ათონელის ქ. — ვირსალაძის ქ. — ბარათაშვილის ქ. № 59 — ბარათაშვილის ხიდი (აღმართი) — ავლაბრის მოედანი — ბარათაშვილის აღმართი.

შეგახსენებთ, რომ მარცხენა სანაპიროზე (ბარათაშვილის ხიდის ქვეშ) მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის ფარგლებში უნდა დადაბლდეს ასფალტის არსებული საფარი, რათა გაიზარდოს სიმაღლე ხიდსა და საავტომობილო გზას შორის და მაღალი ტვირთამწეობის მანქანებმა არ დააზიანონ ხიდის ძირითადი კონსტრუქცია.

სატრანსპორტო კომპანია ბოდიშს იხდის შექმნილი დისკომფორტისთვის.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **თქვენ** ცოლიანი ხართ?
— არა, ეს კატამ დამფხაჭნა.

* * *

— **მამი,** მითხარი როგორ გავხდე ცხოვრებაში წარმატებული?
— **უნდა** იყო წესიერი და მოხერხებული.
— **როგორ** უნდა გავხდე პატიოსანი?
— ამისთვის მუდამ **უნდა** შეასრულო დანაპირები.
— **მოხერხებული** როგორ გავხდე?
— **არავის** არასდროს არ უნდა დაჰპირდე არაფერს.

* * *

— **როგორ** გაიცანით ერთმანეთი?
— ერთად გავიღვიძეთ.

* * *

— **ჩვენ** მას ვკარგავთ! ჩვენ მას ვკარგავთ! ჩვენ იგი დავკარგეთ, — ისმის ხმა საოპერაციოში.
— **ყველაფერი** რიგზეა, ჩვენ იგი მივიღეთ, — ისმის ხმა ზეციდან.

თურქებმა ყულევის ნავსადგური დააბინძურეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, გემის მიერ შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს. თურქეთის დროშით მცურავმა გემმა ყულევის ნავსადგურში ნავთობშემცველი წყლები ჩაღვარა.

სამართალდამრღვევი გემის კაპიტანს დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის ოდენობით. მასვე მოუწევს გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმის გადახდა. თურქეთის დროშით მცურავი გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული ჯარიმის და ზიანის თანხის გადახდის შემდეგ დატოვებს.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“!